

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს მხოლოდ დოკუმენტაციის ინსტრუმენტს და ინსტიტუტები მის შინაარსზე არ არიან პასუხისმგებელნი

►B [ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 9 ივლისის #767/2008 რეგულაცია](#)
[სავიზო საინფორმაციო სისტემისა და წევრ ქვეყნებს შორის მოკლევადიან ვიზებთან დაკავშირებით მონაცემების გაცვლის თაობაზე \(სავიზო საინფორმაციო სისტემის რეგულაცია\)](#)
(OJ L 218, 13.8.2008, გვ.60)

შესწორებულია:

	ოფიციალური ჟურნალი	
	#	გვერდი თარიღი
<u>►M1</u> ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 13 ივლისის #810/2009 რეგულაცია	L 243	1 15.9.2009
<u>►M2</u> ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის # 610/2013 რეგულაცია	L 182	1 29.6.2013

▼B

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 9 ივლისის #767/2008 რეგულაცია
სავიზო საინფორმაციო სისტემისა (VIS) და წევრ ქვეყნებს შორის მოკლევადიან ვიზებთან დაკავშირებით მონაცემების გაცვლის თაობაზე (სავიზო საინფორმაციო სისტემის რეგულაცია)

ევროპის პარლამენტმა და ევროპის კავშირის საბჭომ,
ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების (კერძოდ, ხელშეკრულების 62(2)(ბ)(ii)-ე და 66-ე მუხლების) გათვალისწინებით,
ევროკომისიის წინადადების გათვალისწინებით,
და ზემოხსენებული ხელშეკრულების 251-ე მუხლით დადგენილი პროცედურების შესაბამისად ⁽¹⁾,
ვინაიდან:

(1) საბჭოს 2001 წლის 20 სექტემბრის დასკვნებისა და ევროკავშირის საბჭოს მიერ 2001 წლის დეკემბერში - ლაეკენში, 2002 წლის ივნისში - სევილიაში, 2003 წლის ივნისში - სალონიკში და 2004 წლის მარტში ბრიუსელში მიღებული დასკვნების საფუძველზე სავიზო საინფორმაციო სისტემის (VIS) დაარსება ევროკავშირის პოლიტიკის ერთ-ერთ

მთავარ ინიციატივას წარმოადგენს, რომელიც მიზნად ისახავს თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლიანობის სივრცის ჩამოყალიბებას.

- (2) სავიზო საინფორმაციო სისტემის დაარსების შესახებ 2004 წლის 8 ივნისის #2004/512/EC საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, სავიზო საინფორმაციო სისტემა (VIS) წარმოადგენს წევრ ქვეყნებს შორის სავიზო მონაცემების გაცვლის სისტემას.
- (3) აუცილებელია განისაზღვროს სავიზო საინფორმაციო სისტემის (VIS) მიზანი, ფუნქციები და პასუხისმგებლობები და დადგინდეს იქნას შესაბამისი პირობები და პროცედურები წევრ ქვეყნებს შორის სავიზო მონაცემების გაცვლისათვის, რათა გამარტივდეს სავიზო განაცხადებისა და მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების განხილვა, საბჭოს 2004 წლის 19 თებერვლის სავიზო საინფორმაციო სისტემის (VIS) განვითარებისათვის დაკავშირებული მიმართულებების გათვალისწინებით, რომლებიც საბჭომ 2004 წლის 19 თებერვალს დაამტკიცა.ს და მიენიჭოს ევროკომისია მანდატი სავიზო საინფორმაციო სისტემის (VIS) შექმნისათვის.
- (4) გარდამავალ პერიოდში, ევროკომისია პასუხისმგებელი უნდა იყოს ცენტრალური სავიზო საინფორმაციო სისტემის (VIS) , ეროვნული ინტერფეისების და ცენტრალურ სავიზო საინფორმაციო სისტემას (VIS) და ეროვნულ ინტერფეისებს შორის საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გარკვეულ ასპექტების ოპერატიულ მართვაზე.
გრძელვადიან პერსპექტივაში, ზემოქმედების შეფასების შემდგომ, რომელშიც ფინანსური, ოპერატიული და ორგანიზაციული თვალსაზრისით არსებული ალტერნატივების საფუძვლიანი ანალიზი იქნება მოცემული და მას შემდეგ, რაც ევროკომისია საკანონმდებლო წინადადებებს წარმოადგენს, შემდგომ, უნდა შეიქმნას მუდმივმოქმედი მმართველი ორგანო, რომელსაც დაევალება აღნიშნული ფუნქციების შესრულება. გარდამავალი პერიოდი უნდა გაგრძელდეს არაუმეტეს 5 წლისა წინამდებარე რეგულაციის ძალაში შესვლის დღიდან.
- (5) სავიზო საინფორმაციო სისტემის მიზანს უნდა წარმოადგენდეს საერთო სავიზო პოლიტიკის განხორციელების, საკონსულოებს შორის თანამშრომლობისა და ცენტრალურ სავიზო ორგანოებს შორის განხილვების გაუმჯობესება, რაც წევრ ქვეყნებს შორის სავიზო განაცხადებისა და მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შესახებ მონაცემების გაცვლით ხორციელდება, რათა ხელი შეეწყოს სავიზო განაცხადებთან დაკავშირებულ პროცედურებს, აღიკვეთოს ე.წ. „ვიზა შოპინგი“, ხელი შეეწყოს თაღლითობასთან ბრძოლას და სასაზღვრო გამშვებ პუნქტებსა და წევრი ქვეყნების ტერიტორიებზე სავიზო შემოწმებებს. სავიზო საინფორმაციო სისტემის მეშვეობით ასევე უნდა მოხდეს იმ პირების დადგენა, რომლებიც ვერ ან ვეღარ აკმაყოფილებენ ევროკავშირის წევრ ქვეყანაში შესვლასთან, დარჩენასთან ან ცხოვრებასთან დაკავშირებულ პირობებს. გარდა ამისა, სავიზო საინფორმაციო სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს ევროკავშირის საბჭოს 2013 წლის 18 თებერვლის #343/2003 რეგულაციის გამოყენებას, რომელიც იმ წევრი ქვეყნის განსაზღვრების კრიტერიუმებსა და მექანიზმს ადგენს, რომელმაც მესამე ქვეყნის მოქალაქის მიერ ევროკავშირის წევრ რომელიმე ქვეყანაში შეტანილი თავშესაფრის მოთხოვნა უნდა განიხილოს ⁽³⁾. ამასთანავე, უნდა მოხდეს ევროკავშირის წევრი ქვეყნის შიდა უსაფრთხოებაში არსებული საფრთხეების პრევენცია.

- (6) წინამდებარე რეგულაციები დაფუძნებულია ევროკავშირში ახალი წევრი ქვეყნის მიღებისთვის არსებულ საერთო სავიზო პოლიტიკის კანონმდებლობაზე . სავიზო საინფორმაციო სისტემის ფარგლებში დასამუშავებელი მონაცემები სავიზო განაცხადის საერთო ფორმის (რომელიც ევროკავშირის საბჭოს 2002 წლის 25 აპრილის #2002/354/EC დადგენილების ფარგლებში იქნა მიღებული, რაც „საერთო საკონსულო ინსტრუქციების“ ⁽⁴⁾, მე-3 თავის ადაპტაციასა და მისთვის 16-ე დანართის დამატებას ეხებოდა) შევსების შედეგად მიღებულ ინფორმაციასა და სავიზო ბლანკზე (რომელიც ევროკავშირის საბჭოს მიერ 1995 წლის 29 მაისს ვიზების საერთო ფორმატის დასადგენად მიღებული #1683/95 რეგულაციით არის გათვალისწინებული ⁽⁵⁾) მოცემულ ინფორმაციაზე უნდა იყოს დამყარებული.
- (7) სავიზო საინფორმაციო სისტემა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნულ სისტემებთან უნდა იყოს დაკავშირებული, რათა წევრი ქვეყნების კომპეტენტურმა ორგანოებმა შეძლონ ვიზების განაცხადებსა და გაცემულ, უარყოფილ, შეწყვეტილ, ანუღირებულ და გაგრძელებულ ვიზებთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება.
- (8) სავიზო საინფორმაციო სისტემაში მონაცემების შეტანასთან, შეცვლასთან, წაშლასა და გაცნობასთან დაკავშირებული პირობები და პროცედურები უნდა ითვალისწინებდეს „საერთო საკონსულო ინსტრუქციებში“ არსებულ პროცედურებს, რომლებიც დიპლომატიური მისიებისა და საკონსულოებისთვის ვიზების გაცემას ეხება ⁽⁶⁾ („საერთო საკონსულო ინსტრუქციები“).
- (9) ბენელუქსის ეკონომიკური კავშირის წევრ სახელმწიფოებს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საფრანგეთის რესპუბლიკას შორის საერთო საზღვრებზე არსებული ბარიერების თანდათანობით მოხსნასთან დაკავშირებით 1985 წლის 14 ივნისს დადებული შენგენის შეთანხმების განმახორციელებელი კონვენციის (ე.წ. „შენგენის კონვენცია“) 17(2)-ე მუხლის მიხედვით, ვიზების გამცემ ცენტრალურ ორგანოებთან კონსულტირებისთვის შექმნილი ქსელის ტექნიკური ფუნქციები სავიზო საინფორმაციო სისტემაში უნდა გაერთიანდეს ⁽⁷⁾.
- (10) აუცილებელია ბიომეტრიული მონაცემების სავიზო საინფორმაციო სისტემაში დამუშავება, რათა მოხდეს ს ვიზაზე განმცხადებელთა შემოწმება და მათი იდენტიფიცირება.
- (11) აუცილებელია ევროკავშირის წევრი ქვეყნების კომპეტენტური ორგანოებისა და შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პერსონალის განსაზღვრა, რომლებსაც სავიზო საინფორმაციო სისტემაში მონაცემების შეყვანის, შეცვლის, წაშლის ან მოძიების უფლება ექნებათ წინამდებარე რეგულაციის შესაბამისად და იმდენად, რამდენადაც ეს მათი მოვალეობების შესრულებისთვის იქნება აუცილებელი.
- (12) კომპეტენტური ორგანოების მიერ სავიზო საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების დამუშავება უნდა იყოს პროპორციული და შეესაბამებოდეს მოვალეობების შესრულებისთვის აუცილებელ პირობებს. სავიზო საინფორმაციო სისტემის გამოყენებისას, კომპეტენტური ორგანოების მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს იმ პირების ადამიანური ღირსებისა და ხელშეუხებლობის პატივისცემა, რომელთა მონაცემები არის გამოთხოვილი და დაუშვებელ იქნას დისკრიმინაცია სქესის, რასობრივი

ან ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის ან რწმენის, შეზღუდული შესაძლებლობების, ასაკის ან სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე.

- (13) წინამდებარე რეგულაციას თან უნდა ერთვოდეს დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც ევროკავშირის შეთანხმების მე-6 თავის ფარგლებში იქნა მიღებული და რომელიც შიდა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ორგანოების მიერ სავიზო საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების გაცნობის შესაძლებლობას ეხება.
- (14) სავიზო საინფორმაციო სისტემაში შენახული პერსონალური ინფორმაცია იმაზე დიდხანს არ უნდა ინახებოდეს ვიდრე ეს სავიზო საინფორმაციო სისტემის მიზნებისთვისაა საჭირო. მისაღებია, ამგვარი მონაცემების არაუმეტეს ხუთი წლის ვადით შენახვა, რათა ახალი სავიზო განაცხადების შეფასებისას გათვალისწინებულ იქნეს მანამდე შემოტანილ განაცხადებთან დაკავშირებული მონაცემები, მათ შორის, განმცხადებლის კეთილსინდისიერება და იმ არალეგალური იმიგრანტების დოკუმენტები, რომლებსაც წარსულში, რაღაც ეტაპზე, შესაძლოა, სავიზო განაცხადი ჰქონდათ შემოტანილი. ამ მიზნებისთვის მოკლე პერიოდის დაწესება არ არის მიზანშეწონილი. პერსონალური მონაცემები უნდა წაიშალოს ხუთი წლის გასვლის შემდგომ, თუ არ არსებობს საფუძველი მათი ადრე წაშლისათვის
- (15) ჩამოყალიბებულ უნდა იქნას კონკრეტული წესები, რომლებიც სავიზო საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბებასა და მუშაობასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებსა და მოვალებებს, წევრი სახელმწიფოების მიერ თავიანთი ეროვნული სიტემების მართვასთან დაკავშირებულ მოვალებებსა და ეროვნული ორგანოებისთვის მონაცემებზე წვდომას დაარეგულირებს.
- (16) მომზადებულ უნდა იქნას წესები, რომლითაც განისაზღვრება წევრი სახელმწიფოების პასუხისმგებლობა მათ მიერ წინამდებარე რეგულაციის დარღვევის შედეგად გამოწვეული ზიანისათვის. ასეთის შემთხვევაში, კომისიის პასუხისმგებლობა რეგულირდება ევროკავშირის ხელშეკრულების 288-ე მუხლის მეორე პუნქტით.
- (17) ევროპის პარლამენტის და საბჭოს 1995 წლის 24 დეკემბერს მიღებული 95/46/EC დირექტივა, რომელიც პერსონალური მონაცემების დამუშავებისას პირების დაცვასა და ამგვარი მონაცემების თავისუფლად გადაადგილებას ⁽⁸⁾ ეხება, წევრი სახელმწიფოების მიერ წინამდებარე რეგულაციის აღსრულებისას, პერსონალური მონაცემების დამუშავებასაც ეხება. თუმცა, დაზუსტებულ უნდა იქნას მონაცემების დამუშავებასთან, პერსონალური მონაცემების სუბიექტების უფლებების დაცვასა და მონაცემების დაცვის ზედამხედველობასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების საკითხი.
- (18) ევროპის პარლამენტის და საბჭოს მიერ 2000 წლის 18 დეკემბერს მიღებული #45/2001 რეგულაცია, რომელიც ევროკავშირის ინსტიტუტების და ორგანოების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ადამიანების დაცვას და ამ მონაცემების თავისუფლად გადაადგილებას ეხება ⁽⁹⁾, ევროკავშირის ინსტიტუტებისა და ორგანოების საქმიანობას არეგულირებს, როდესაც ისინი სავიზო საინფორმაციო სისტემის საოპერაციო მართვის ფარგლებში საკუთარ მოვალებებს ახორციელებენ. თუმცა, დაზუსტებულ უნდა იქნას მონაცემების დამუშავებასთან და მონაცემების დაცვის ზედამხედველობასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების საკითხი

- (19) 95/46/EC დირექტივის 28-ე მუხლის ფარგლებში ჩამოყალიბებულმა ეროვნულმა საზედამხედველო ორგანოებმა ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების მონიტორინგი უნდა განახორციელონ, ხოლო ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველების მიერ, რომელიც 45/2001 რეგულაციის ფარგლებში ჩამოყალიბდა, ევროკავშირის ინსტიტუტებისა და ორგანოების შეზღუდული მოვალეობების გათვალისწინებით, უნდა განახორციელონ მონიტორინგი ევროკავშირის ინსტიტუტებისა და ორგანოების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების კუთხით გაწეული აქტივობებისათვის
- (20) ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველმა და ეროვნულმა საზედამხედველო ორგანოებმა ერთმანეთთან მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ.
- (21) წინამდებარე რეგულაციის განხორციელების ეფექტური მონიტორინგი შეფასების რეგულარული ინტერვალებით ჩატარებას მოითხოვს.
- (22) ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა წინამდებარე რეგულაციის ნორმების დარღვევისთვის გათვალისწინებული სასჯელების შესახებ გარკვეული წესები უნდა შემოიღონ და მათი აღსრულება უზრუნველყონ.
- (23) წინამდებარე რეგულაციის განხორციელებისთვის საჭირო ზომები დამტკიცებულ უნდა იქნას ევროკავშირის საბჭოს მიერ 1999 წლის 28 ივნისს ევროკომისიისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების გამოყენების პროცედურების განსაზღვრისათვის მიღებული 1999/468/EC გადაწყვეტილების შესაბამისად ⁽¹⁰⁾.
- (24) წინამდებარე რეგულაცია პატივს სცემს ფუნდამენტურ უფლებებს და იცავს ევროკავშირის ქარტიას ფუნდამენტური უფლებების შესახებ.
- (25) ვინაიდან, წევრ სახელმწიფოებს წინამდებარე რეგულაციის ამოცანების, კერძოდ, საერთო სავიზო საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბებისა და წევრ სახელმწიფოებს შორის სავიზო მონაცემების გაცვლასთან დაკავშირებით საერთო ვალდებულებების, პირობებისა და პროცედურების შექმნის საკმარისად შესრულება არ შეუძლიათ და რადგან, ამ საქმიანობის მასშტაბისა და ზეგავლენიდან გამომდინარე, მისი მიზნების მიღწევა ევროპის გაერთიანების დონეზე უკეთესად არის შესაძლებელი, ევროკავშირის ხელშეკრულების მე-5 მუხლში მოცემული სუბსიდიარობის პრინციპიდან გამომდინარე, გაერთიანებას შეუძლია, მიიღოს გარკვეული ზომები. იმავე მუხლში მოცემული პროპორციულობის პრინციპის მიხედვით, წინამდებარე რეგულაცია არ სცდება იმ საქმიანობების ფარგლებს, რომელიც ზემოხსენებული ამოცანების მიღწევისთვის არის აუცილებელი.
- (26) დანიის პოზიციის შესახებ ოქმის 1 და მე-2 მუხლების შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებასა და ევროპის გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას, დანია არ იღებს მონაწილეობას ამ რეგულაციის მიღებაში და ამიტომ ამ რეგულაციის აღსრულებასთან დაკავშირებით არავითარი ვალდებულებები არ გააჩნია. გამომდინარე იქიდან, რომ წინამდებარე რეგულაცია ეფუძნება შენგენის შეთანხმებას, რომელიც ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-3 ნაწილის მე-6 თავში მოცემული დებულებების მიხედვით იქნა დადებული, ზემოხსენებული ოქმის მე-5 მუხლის შესაბამისად, დანიამ წინამდებარე

რეგულაციის მიღებიდან ექვსი თვის მანძილზე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული რეგულაციის ეროვნულ კანონმდებლობაში შეტანის თაობაზე.

- (27) რაც შეეხება ისლანდიას და ნორვეგიას, წინამდებარე რეგულაცია შენგენის შეთანხმების დებულებების გაგრძელებას წარმოადგენს, ანუ ეხება იმ შეთანხმებას, რომელიც ევროკავშირის საბჭოსა და ისლანდიის რესპუბლიკასა და ნორვეგიის სამეფოს შორის შენგენის შეთანხმების განხორციელებასთან, გამოყენებასა და განვითარებასთან ამ ორი სახელმწიფოს ასოცირების შესახებ გაფორმდა ⁽¹¹⁾ და ამ შეთანხმების განხორციელებასთან დაკავშირებულ გარკვეული საორგანიზაციო საკითხების შესახებ ევროკავშირის საბჭოს 1999 წლის 17 მაისის 1999/437/EC გადაწყვეტილების ფარგლებში ჯდება.
- (28) გარკვეული ნაბიჯები უნდა იქნას გადადგმული იმისთვის, რომ ისლანდიისა და ნორვეგიის წარმომადგენლებს იმ კომიტეტების მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ, რომლებიც ევროკომისიას მისი აღმასრულებელი უფლებამოსილებების განხორციელებაში ეხმარებიან. ამგვარი ზომების განხორციელების შესაძლებლობა ზემოხსენებულ შეთანხმებაში გათვალისწინებულ იქნა ევროკავშირის საბჭოსა და ისლანდიის რესპუბლიკასა და ნორვეგიის სამეფოს შორის გაცვლილ წერილებში, რომლებიც ამ კომიტეტებს შეეხებოდა ⁽¹³⁾, აღნიშნული წერილები 27-ე პუნქტში ნახსენებ შეთანხმებას თან ერთვის.
- (29) ევროკავშირის საბჭოს მიერ 2000 წლის 29 მაისს მიღებული #2000/365/EC გადაწყვეტილების მიხედვით, რომელიც ეხება დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს თხოვნას შენგენის შეთანხმების გარკვეულ დებულებებში მონაწილეობასთან დაკავშირებით ⁽¹⁴⁾ და ევროსაბჭოს მიერ 2004 წლის 22 დეკემბერს მიღებული #2004/926/EC გადაწყვეტილების მიხედვით (რომელიც გაერთიანებული სამეფოს მიერ შენგენის შეთანხმების გარკვეული ნაწილების განხორციელებას ეხებოდა ⁽¹⁵⁾), წინამდებარე რეგულაცია შენგენის შეთანხმების დებულებების გაგრძელებას წარმოადგენს, რომელშიც დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო მონაწილეობას არ იღებს. აქედან გამომდინარე, გაერთიანებული სამეფო ამ რეგულაციის მიღებაში მონაწილეობას არ იღებს და ამიტომ იგი არ არის პასუხისმგებელი მის აღსრულებაზე.
- (30) ევროკავშირის საბჭოს მიერ 2002 წლის 28 თებერვალს მიღებული #2002/192/EC გადაწყვეტილების მიხედვით, რომელიც ეხებოდა ირლანდიის თხოვნას შენგენის შეთანხმების გარკვეულ დებულებებში მონაწილეობას ⁽¹⁶⁾, წინამდებარე რეგულაცია შენგენის შეთანხმების დებულებების გაგრძელებას წარმოადგენს, რომელშიც ირლანდია მონაწილეობას არ იღებს. აქედან გამომდინარე, ირლანდია ამ რეგულაციის მიღებაში მონაწილეობას არ იღებს და შესაბამისად მის აღსრულებაზე პასუხისმგებელი არ არის.
- (31) რაც შეეხება შვეიცარიას, წინამდებარე რეგულაცია წარმოადგენს შენგენის კანონმდებლობის დებულებების შემუშავებას ევროპის კავშირის, ევროპის გაერთიანებასა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც ამ სახელმწიფოს შენგენის შეთანხმების განხორციელებასთან, გამოყენებასა და განვითარებასთან კავშირს შეეხება, ევროკავშირის საბჭოს #1999/437/EC გადაწყვეტილების 1-ელი მუხლის (ბ) პუნქტში აღნიშნულ სფეროს განეკუთვნება და

ევროკავშირის საბჭოს #2004/860/EC გადაწყვეტილება - 4(1)-ე მუხლთან ერთად უნდა იქნას წაკითხული ⁽¹⁷⁾.

(32) გარკვეული ნაბიჯები უნდა იქნას გადადგმული იმისთვის, რომ შვეიცარიის წარმომადგენლებს იმ კომიტეტების მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ, რომლებიც ევროკომისიას მისი აღმასრულებელი უფლებამოსილებების განხორციელებაში ეხმარებიან. ამგვარი ზომების განხორციელების შესაძლებლობა ევროპის გაერთიანებასა და შვეიცარიას შორის გაცვლილ წერილებში იქნა განხილული, აღნიშნული წერილები 31-ე პუნქტში ნახსენებ შეთანხმებას თან ერთვის.

(33) წინამდებარე რეგულაცია წარმოადგენს აქტს, რომელიც შენგენის კანონმდებლობას ეფუძნება ან სხვაგვარად, 2003 წლის „მიერთების აქტის“ 3(2)-ე მუხლით და 2005 წლის „მიერთების აქტის“ 4(2)-ე მუხლით უკავშირდება.

მიიღო წინამდებარე რეგულაცია:

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1

საგანი და მოქმედების სფერო

წინამდებარე რეგულაცია განსაზღვრავს სავიზო საინფორმაციო სისტემის დანიშნულებას, ფუნქციებსა და მოვალეობებს, როგორც ეს ევროკავშირის საბჭოს 2004/512/EC გადაწყვეტილების 1-ელი მუხლით არის განსაზღვრული. აღნიშნული დოკუმენტი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის მოკლევადიან ვიზებზე წარდგენილ განაცხადებსა და მათზე მიღებული გადაწყვეტილებების, მათ შორის, ვიზის გაუქმების, ანულირების ან გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებების შესახებ მონაცემების გაცვლის პირობებსა და პროცედურებს ადგენს, რათა მოხდეს ამგვარი განაცხადების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ხელშეწყობა.

მუხლი 2

მიზანი

სავიზო საინფორმაციო სისტემის მიზანი საერთო სავიზო პოლიტიკის განხორციელების, საკონსულოებს შორის თანამშრომლობისა და ცენტრალურ სავიზო ორგანოებს შორის კონსულტაციების გაუმჯობესებაა, რაც ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის სავიზო განაცხადებისა და მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შესახებ მონაცემების გაცვლის ხელშეწყობით უნდა განხორციელდეს, რათა:

(ა) მოხდეს სავიზო განაცხადების შემოტანისა და განხილვის პროცედურების ხელშეწყობა;

(ბ) თავიდან იქნას აცილებული იმ კრიტერიუმების გვერდის ავლა, რომლითაც განისაზღვრება კონკრეტული სავიზო განაცხადის განხილვაზე პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფო;

(გ) ხელი შეეწყოს თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლას;

(დ) ხელი შეეწყოს სასაზღვრო გამშვებ პუნქტებსა და წევრი ქვეყნების ტერიტორიებზე სავიზო შემოწმებას;

(ე) დადგინდნენ პირები, რომლებიც ვერ ან ვეღარ აკმაყოფილებენ ევროკავშირის წევრ ქვეყანაში შესვლასთან, დარჩენასთან ან ცხოვრებასთან დაკავშირებულ პირობებს;

(ვ) ხელი შეეწყოს ევროკავშირის საბჭოს #343/2003 რეგულაციის გამოყენებას;

(ზ) წვლილი იქნას შეტანილი ევროკავშირის რომელიმე წევრი ქვეყნის შიდა უსაფრთხოების წინაშე არსებული საფრთხეების პრევენციაში.

მუხლი 3

ტერორისტული დანაშაულებისა და სისხლის სამართლის სხვა სერიოზული დარღვევების პრევენციის, აღმოჩენისა და გამოძიებისთვის საჭირო მონაცემების ხელმისაწვდომობა

1. კონკრეტულ შემთხვევებში, დასაბუთებული წერილობითი ან ელექტრონული მოთხოვნის საფუძველზე, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების შესაბამის ორგანოებს ექნებათ წვდომა სავიზო საინფორმაციო სისტემაში არსებულ მონაცემებზე, რომლებიც ამ დოკუმენტის მე-9 და მე-14 მუხლებშია ნახსენები, იმ შემთხვევაში, თუ იარსებებს საკმარისი საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ სავიზო საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების გაცნობა სერიოზულ წვლილს შეიტანს ტერორისტული დანაშაულებისა და სისხლის სამართლის სხვა სერიოზული დარღვევების პრევენციაში, აღმოჩენასა და გამოძიებაში. ევროპოლს სავიზო საინფორმაციო სისტემაზე წვდომა მისი მანდატის ფარგლებში ექნება მაშინ, როდესაც ეს მისი მოვალეობების შესასრულებლად იქნება აუცილებელი.
2. 1-ელ პუნქტში აღნიშნული მონაცემების გაცნობა შესაძლებელი იქნება ე.წ. „ცენტრალური წვდომის პუნქტის (პუნქტების)“ მეშვეობით, რომლებიც პასუხისმგებელი იქნება წვდომის იმ პირობებისა და პროცედურების მკაცრად დაცვაზე, რომლებიც დადგენილია ევროკავშირის საბჭოს 2008 წლის 23 ივნისის #2008/633/JHA გადაწყვეტილებით, ტერორისტული დანაშაულებისა და სისხლის სამართლის სხვა სერიოზული დარღვევების პრევენციის, აღმოჩენისა და გამოძიების მიზნით ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების შესაბამისი ორგანოებისა და ევროპოლის მიერ სავიზო საინფორმაციო სისტემაში არსებულ მონაცემებზე წვდომის შესახებ ⁽¹⁸⁾. წევრ სახელმწიფოებს ერთზე მეტი ასეთი პუნქტის გამოყოფა შეუძლიათ, რაც მათი საკონსტიტუციო და იურიდიულ მოთხოვნებზე დაფუძნებული ორგანიზაციული და ადმინისტრაციული სტრუქტურების გამო შეიძლება მოხდეს. გადაუდებელ შემთხვევებში, ცენტრალური წვდომის პუნქტებს შეუძლიათ მიიღონ წერილობითი, ელექტრონული ან ზეპირი მოთხოვნები სავიზო საინფორმაციო სისტემის მონაცემებზე წვდომასთან დაკავშირებით და მხოლოდ ფაქტის შემდგომ დაადასტურონ, რომ ამ მონაცემებზე წვდომისთვის დადგენილი ყველა პირობა შესრულდა, მათ შორის რეალურად არსებობდა თუ არა განსაკუთრებული ან

გადაუდებელი შემთხვევა. ფაქტის შემდგომი დადასტურება შესაბამისი მოთხოვნის დამუშავების შემდეგ დროულად უნდა მოხდეს.

3. დაუშვებელია მე-2 პუნქტში ნახსენები გადაწყვეტილების შესაბამისად სავიზო საინფორმაციო ცენტრებიდან მოპოვებული მონაცემების მესამე ქვეყნისთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის გადაცემა. თუმცა, განსაკუთრებით გადაუდებელ შემთხვევებში, ამგვარი მონაცემები შეიძლება გადაეცეს ან მათზე წვდომა მიენიჭოს მესამე ქვეყანას ან საერთაშორისო ორგანიზაციას, მხოლოდ და მხოლოდ ტერორისტული დანაშაულებისა და სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულების პრევენციისა და აღმოჩენის მიზნით და აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მოცემული პირობების გათვალისწინებით. ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა უზრუნველყონ რა მონაცემების ამგვარად გადაცემის შესახებ ჩანაწერების შენახვა და, მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემების დაცვის ეროვნული ორგანოებისთვის ამ ჩანაწერების გადაცემა. ევროკავშირის წევრი იმ სახელმწიფოს მიერ მონაცემების გადაცემის წესები, რომელმაც ეს მონაცემები სავიზო საინფორმაციო სისტემაში შეიტანა, აღნიშნული სახელმწიფოს ეროვნულ კანონმდებლობას დაექვემდებარება.
4. წინამდებარე რეგულაცია არ არღვევს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ ვალდებულებებს, რომლებიც სისხლის სამართლის შესაბამისი დანაშაულების პრევენციის, გამოძიებისა და სისხლისსამართლებლივი დევნის მიზნით, მე-6 მუხლში აღნიშნული ორგანოების მიერ დადგენილი ნებისმიერი სახის დანაშაულებრივი ქმედების შესახებ პასუხისმგებელი ორგანოებისთვის ინფორმაციის გადაცემას ეხება.

მუხლი 4

განმარტებები

წინამდებარე რეგულაციის მიზნებისთვის, ქვემოთ დასახელებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1. „ვიზა“ ნიშნავს:

▼M1

(ა) „ერთიან ვიზას“, როგორც ეს განსაზღვრულია ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს მიერ 2009 წლის 13 ივლისს ევროგაერთიანების სავიზო კოდექსის (სავიზო კოდექსი) შესახებ მიღებულ # 810/2009 რეგულაციაშია ⁽¹⁹⁾;

▼M1 _____

▼M1

(გ) „აეროპორტის სატრანზიტო ვიზა“, როგორც ეს განსაზღვრულია ევროკავშირის საბჭოს #810/2009 რეგულაციის 2(5)-ე მუხლში;

(დ) „შეზღუდული ტერიტორიული მოქმედების მქონე ვიზა“, როგორც ეს განსაზღვრულია ევროკავშირის საბჭოს #810/2009 რეგულაციის 2(4)-ე მუხლში;

▼M1 _____

VB

2. „ვიზის ბლანკი“ წარმოადგენს ვიზებისთვის დადგენილ ერთიან ფორმას, როგორც ეს განსაზღვრულია ევროკავშირის საბჭოს #1683/95 რეგულაციით ;
3. „ვიზის გამცემი ორგანოები“ წარმოადგენს იმ ორგანოებს, რომლებიც ევროკავშირის თითოეულ წევრ სახელმწიფოში სავიზო განაცხადების შემოწმებაზე და მათთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებაზე, ან ვიზების გაუქმებასთან, შექვეყნასთან ან გაგრძელებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებაზე არიან პასუხისმგებელი (მათ შორის, ცენტრალური სავიზო ორგანოები და საზღვრებზე ვიზების გამცემი ორგანოები, როგორც ეს ევროკავშირის საბჭოს მიერ ვიზების საზღვარზე გაცემის, მათ შორის, მეზღვაურებისთვის სატრანზიტო გადაადგილებისთვის ვიზების გაცემის შესახებ 2003 წლის 27 თებერვალს მიღებული #415/2003 რეგულაციით არის განსაზღვრული ⁽²⁰⁾);
4. „განაცხადის ფორმა“ ნიშნავს სავიზო განაცხადის ერთიან ფორმას, რომელიც საერთო საკონსულო ინსტრუქციების მე-16 დანართშია ნახსენები;
5. „განმცხადებელი“ ნიშნავს ყველა იმ პირს, რომელზეც სავიზო მოთხოვნები ვრცელდება ევროკავშირის საბჭოს 2001 წლის 15 მარტის #539/2001 რეგულაციის მიხედვით, რომელშიც ჩამოთვლილია ის მესამე ქვეყნები, რომელთა მოქალაქეებს ევროკავშირის გარე საზღვრების გადაკვეთისას ვიზების ქონა მოეთხოვებათ და ასევე ის ქვეყნები, რომელთა მოქალაქეებს ამგვარი ვიზების ქონა არ მოეთხოვებათ ⁽²¹⁾ და რომელმაც ვიზის მიღების თაობაზე განაცხადი შემოიტანა;
6. „ჯგუფის წევრები“ ნიშნავს იმ განმცხადებლებს, რომლებსაც, სამართლებრივი მიზეზებიდან გამომდინარე, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში ერთად შესვლა და ამ სახელმწიფოდან ერთად გამოსვლა ევალებათ;
7. „სამგზავრო დოკუმენტი“ ნიშნავს პასპორტს ან მასთან გათანაბრებული ძალის მქონე დოკუმენტს, რომელიც მის მფლობელს საერთაშორისო საზღვრების გადაკვეთის უფლებას აძლევს და რომელშიც შეიძლება დატანილ იქნეს ვიზა;
8. „პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფო“ ნიშნავს ევროკავშირის იმ წევრ სახელმწიფოს, რომელმაც მონაცემები სავიზო საინფორმაციო სისტემაში შეიყვანა;
9. „შემოწმება“ ნიშნავს მონაცემების ერთმანეთთან შედარების პროცესს, რომლის მიზანია კონკრეტული პირის მიერ წარმოდგენილი იდენტობის სინამდვილის დადგენა (ერთი ერთზე შემოწმება);
10. „იდენტიფიკაცია“ ნიშნავს პირის იდენტობის დადგენის პროცესს, რომელიც მონაცემთა ბაზის და ამ ბაზაში არსებული სხვადასხვა მონაცემების გადამოწმებით ხდება (ე.წ. „ერთი მრავალზე შემოწმება“);
11. „ალფანუმერული მონაცემები“ წარმოადგენს რა ასოების, ციფრების, სპეციალური სიმბოლოების, სიტყვებს შორის გამოტოვებული ადგილებისა და სასვენი ნიშნების სახით წარმოდგენილ მონაცემებს.

მუხლი 5

მონაცემების კატეგორიები

1. სავიზო საინფორმაციო სისტემაში (VIS) მხოლოდ შემდეგი სახის მონაცემები იქნება შეტანილი:
 - (ა) განმცხადებელთან დაკავშირებული ალფანუმერული მონაცემები და მოთხოვნილ, გაცემულ, ვიზის გაცემაზე უარის, გაუქმებულ, შეწყვეტილ ან გაგრძელებულ ვიზებთან დაკავშირებული მონაცემები, რომლებიც აღნიშნულია 9(1)-ე და (4)-ე პუნქტებსა და მე-10 და მე-14 მუხლებში;
 - (ბ) 9(5)-ე მუხლში აღნიშნული ფოტოები;
 - (გ) 9(6)-ე მუხლში აღნიშნული თითის ანაბეჭდებთან დაკავშირებული მონაცემები;
 - (დ) სხვა სავიზო განაცხადებთან დაკავშირებული ბმულები, რომლებიც 8(3)-ე და (4)-ე პუნქტებშია აღნიშნული.
2. სავიზო საინფორმაციო სისტემის (VIS) ინფრასტრუქტურის მეშვეობით გადაცემული გზავნილები, რომლებიც 16-ე, 24(2)-ე და 25(2)-ე მუხლებშია აღნიშნული, 34-ე მუხლით დადგენილი მონაცემების გადამუშავების ოპერაციების ჩაწერასთან დაკავშირებული ნორმის დარღვევის გარეშე, არ უნდა იქნას სისტემაში ჩაწერილი. .

მუხლი 6

მონაცემების შეყვანაზე, შეცვლაზე, წაშლასა და მოძიებაზე წვდომა

1. ამ რეგულაციის ფარგლებში, სავიზო საინფორმაციო სისტემაში მონაცემების შეყვანის, შეცვლის ან ამოშლის მიზნით შესვლის უფლება (რაზეც 5(1)-ე მუხლშია საუბარი) ენიჭებათ მხოლოდ სავიზო ორგანოების შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს.
2. სავიზო საინფორმაციო სისტემაში მონაცემების გაცნობის მიზნით შესვლის უფლება ენიჭება მხოლოდ ევროკავშირის თითოეული წევრი სახელმწიფოს შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ პერსონალს, რომელსაც მე-15 და 22-ე მუხლებით დადგენილი მიზნების განხორციელებისთვის, უნდა გააჩნდეს შესაბამისი კომპეტენცია. აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა აღნიშნული მიზნების შესაბამისად ამ პერსონალის საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელი და ამოცანების თანაზომიერი უნდა იყოს.
3. თითოეული წევრი სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოები, რომელთა შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ პერსონალს სავიზო საინფორმაციო სისტემაში მონაცემების შეყვანის, შეცვლის, წაშლის ან მოძიების მიზნით შესვლის უფლება მიენიჭებათ. ევროკავშირის თითოეულმა წევრმა ქვეყანამ ამ ორგანოების სია, მათ შორის, 41(4)-ე მუხლში აღნიშნული ორგანოების სია და მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ევროკომისიას დროულად უნდა მიაწოდოს. აღნიშნულ სიებში განმარტებული უნდა იყოს მიზანი, რომელსაც ამა თუ იმ ორგანოს მიერ სავიზო საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების დამუშავება ემსახურება.

სავიზო საინფორმაციო სისტემის ამუშავებიდან 3 თვის განმავლობაში, 48(1)-ე მუხლის შესაბამისად, ევროკომისიამ ერთიანი სია *ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში* უნდა გამოაქვეყნოს. ამ სიაში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, ევროკომისიამ წელიწადში ერთხელ განახლებული ერთიანი სია უნდა გამოაქვეყნოს.

მუხლი 7

ზოგადი პრინციპები

1. თითოეულმა კომპეტენტურმა ორგანომ, რომელსაც წინამდებარე რეგულაციის მიხედვით სავიზო საინფორმაციო სისტემაში შესვლის უფლება ექნება, უნდა უზრუნველყოს რა, მოვალეობის შერსულებისათვის სავიზო საინფორმაციო სისტემის გამოყენების აუცილებლობის, სათანადობისა და თანაზომიერების პრინციპების დაცვა..
2. სავიზო საინფორმაციო სისტემის გამოყენებისას, თითოეულმა კომპეტენტურმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს რა, განმცხადებლებისა და ვიზის მფლობელების დისკრიმინაციის დაუშვებლობა სქესის, რასის ან ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის ან რწმენის, შეზღუდული შესაძლებლობების, ასაკის ან სექსუალური ორიენტაციის გამო და უზრუნველყონ რა განმცხადებლებისა და ვიზის მფლობელების ადამიანური ღირსებისა და ხელშეუხებლობის პატივისცემა.

თავი II

ვიზის გამცემი ორგანოების მიერ მონაცემების შეყვანა და გამოყენება

მუხლი 8

სავიზო განაცხადის მიღების შემდეგ მონაცემების შეყვანასთან დაკავშირებული პროცედურები

1. [►M1](#) თუ სავიზო განაცხადი ევროკავშირის საბჭოს #810/2009 რეგულაციის მე-19 მუხლის ფარგლებში მისაღებად ჩაითვლება, სავიზო ორგანომ დროულად უნდა შექმნას განაცხადის ფაილი, რაც სავიზო საინფორმაციო სისტემაში მე-9 მუხლში აღნიშნული მონაცემების შეყვანით უნდა მოხდეს, იმდენად, რამდენადაც ეს მონაცემები თავად განმცხადებლის მიერ იქნება მოწოდებული.
2. განაცხადის ფაილის შექმნისას, სავიზო ორგანომ მე-15 მუხლის მოთხოვნების თანახმად, უნდა შეამოწმოს რა, სავიზო საინფორმაციო სისტემაში ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოში რეგისტრირებული იმავე განმცხადებლის სხვა განაცხადის არსებობა. .
3. თუ იმავე განმცხადებლის სხვა განაცხადი რეგისტრირებულია, მაშინ სავიზო ორგანომ თითოეული ახალი განაცხადის ფაილი ამავე განმცხადებლის მანამდე არსებულ განაცხადის ფაილთან უნდა დააკავშიროს.
4. თუ განმცხადებელი ჯგუფთან ან მის მეუღლესა და/ან ბავშვებთან ერთად მოგზაურობს, სავიზო ორგანომ თითოეულ განმცხადებელთან დაკავშირებით განაცხადის ფაილი უნდა შექმნას და ერთად მოგზაური პირების განაცხადების ფაილები ერთმანეთთან დააკავშიროს.

5. როდესაც კონკრეტული მონაცემების წარდგენა სამართლებრივად აუცილებელი არ არის ან ამგვარი მონაცემების წარმოდგენა ფაქტობრივად შეუძლებელია, აღნიშნული მონაცემების გრაფაში (გრაფებში) უნდა ჩაიწეროს შემდეგი ფრაზა: არ გამოიყენება“. თითის ანაბეჭდების შემთხვევაში, მე-17 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, ის შემთხვევები, როდესაც თითის ანაბეჭდები სამართლებრივად აუცილებელი არ არის, სისტემამ უნდა განასხვავოს იმ შემთხვევებისგან, როდესაც თითის ანაბეჭდების წარმოდგენა რეალურად შეუძლებელია; ოთხი წლის შემდეგ აღნიშნული ფუნქცია გაუქმდება, თუ ევროკომისიის გადაწყვეტილებით მისი მოქმედება არ გაგრძელდება (აღნიშნული გადაწყვეტილება 50(4)-ე მუხლში აღნიშნული შეფასების საფუძველზე უნდა იქნას მიღებული).

მუხლი 9

► M1 განაცხადის ფაილში შესაყვანი მონაცემები ◀

ვიზის გამცემმა ორგანომ განაცხადის ფაილში უნდა შეიყვანოს შემდეგი მონაცემები:

1. განაცხადის ნომერი;
2. ინფორმაცია მდგომარეობის შესახებ, რომელიც აჩვენებს, რომ ვიზა ნამდვილად იქნა მოთხოვნილი;
3. ორგანო, რომელშიც სავიზო განაცხადი იქნა შეტანილი, მათ შორის, მისი ადგილმდებარეობა და ინფორმაცია იმის შესახებ, არის თუ არა ეს ორგანო ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელი;
4. განაცხადის ფორმიდან შემდეგი სახის მონაცემები უნდა იქნას გამოყენებული:

▼ M1

(ა) გვარი, დაბადებისას მინიჭებული გვარი (ყოფილი გვარ(ებ)ი), სახელ(ებ)ი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი, დაბადების ქვეყანა, სქესი;

▼ B

(ბ) მიმდინარე მოქალაქეობა და დაბადებისას დაფიქსირებული მოქალაქეობა;

(გ) სამგზავრო დოკუმენტის ტიპი და ნომერი, ამ დოკუმენტის გამცემი ორგანო, მისი გაცემისა და ვადის ამოწურვის თარიღები;

(დ) სავიზო განაცხადის შევსების ადგილი და თარიღი;

▼ M1

▼ B

(ე) მოწვევის გამცემი პირის მონაცემები და/ან იმ პირის მონაცემები, რომელიც კონკრეტულ ქვეყანაში ყოფნის პერიოდში განმცხადებლის ცხოვრების ხარჯებს დაფარავს:

- 1) ფიზიკური პირის შემთხვევაში: პირის გვარი, სახელი და მისამართი;
- 2) კომპანიის ან სხვა ორგანიზაციის შემთხვევაში: კომპანიის/სხვა ორგანიზაციის დასახელება და მისამართი, ამ კომპანიის წარმომადგენელი საკონტაქტო პირის გვარი და სახელი;

▼ M1

- (ვ) დანიშნულების ადგილი (წევრი სახელმწიფო(ებ)ი) და იქ დარჩენის ან ტრანზიტის ხანგრძლივობა;
- (ზ) მგზავრობის მთავარი მიზანი;
- (თ) შენგენის ზონაში ჩასვლის დაგეგმილი თარიღი და შენგენის ზონიდან გამგზავრების დაგეგმილი თარიღი;
- (ი) ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, რომელშიც განმცხადებელი თავდაპირველად შევა;
- (კ) განმცხადებლის მისამართი;

▼B

- (ლ) განმცხადებლის ამჟამინდელი პროფესია და დამსაქმებელი; სტუდენტების შემთხვევაში: ►[M1](#) საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება ◀ ;
 - (მ) არასრულწლოვნების შემთხვევაში: განმცხადებლის ►[M1](#) მშობლის ან კანონიერი მეურვის გვარი და სახელი(ებ)ი ◀ ;
5. განმცხადებლის ფოტო (ევროკავშირის საბჭოს #1683/95 რეგულაციის შესაბამისად);
6. განმცხადებლის თითის ანაბეჭდები („საერთო საკონსულო ინსტრუქციების“ შესაბამისი დებულებების შესაბამისად).

მუხლი 10

ვიზის გაცემის შემთხვევაში განაცხადის ფაილში შესაყვანი მონაცემები

1. ვიზის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ვიზის გამცემმა ორგანომ განაცხადის ფაილში შემდეგი სახის მონაცემები უნდა შეიყვანოს:
 - (ა) ინფორმაცია სტატუსის შესახებ, რომელიც აჩვენებს, რომ ვიზა გაცემულია;
 - (ბ) ვიზის გამცემი ორგანო, მისი ადგილმდებარეობა და ინფორმაცია იმის შესახებ, გასცა თუ არა ამ ორგანომ ვიზა ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოს სახელით;
 - (გ) ვიზის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ადგილი და თარიღი;
 - (დ) ვიზის სახეობა/ტიპი;
 - (ე) დატანილი ვიზის ბლანკის ნომერი;
 - (ვ) ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც ვიზის მფლობელს მოგზაურობა შეუძლია („საერთო საკონსულო ინსტრუქციების“ შესაბამისი ნორმების თანახმად);
 - (ზ) ვიზის მოქმედების დაწყების და ამოწურვის თარიღები;
 - (თ) ვიზით განსაზღვრულ ტერიტორიაზე შესვლის ოდენობა;
 - (ი) ადგილზე დარჩენის ხანგრძლივობა (რომელიც ვიზით არის განსაზღვრული);
 - (კ) საჭიროების შემთხვევაში: ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვიზა ცალკე ფურცლის სახით იქნა გაცემული (ევროკავშირის საბჭოს მიერ 2002 წლის 18 თებერვალს მიღებული #333/2002 რეგულაციის შესაბამისად, რომელიც ეხება ვიზებზე მისამაგრებელ ერთიანი ფორმატის მქონე დოკუმენტებს ვიზის გასაცემად ისეთ პირებზე, რომლებსაც ამ ფორმის შემდგენი სახელმწიფოების მიერ არაღიარებული სამგზავრო დოკუმენტები გააჩნიათ) ([22](#));

▼M1

(ლ) საჭიროების შემთხვევაში: ინფორმაცია იმის შესახებ რომ დატანილი ვიზის ბლანკი ხელით იქნა შევსებული.

▼B

2. თუ განმცხადებელი სავიზო განაცხადზე განხილვას შეწყვეტს მანამდე, ვიდრე მიღებულ იქნება გადაწყვეტილება ვიზის გაცემის თაობაზე ან ვიზის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, ან თუ განმცხადებელი განაცხადის შეტანის შემდგომ საჭირო ნაბიჯებს არ გადადგამს, სავიზო განაცხადის მიმღები ვიზის გამცემი ორგანოს მიერ, აღნიშნული უნდა იქნას, განაცხადის დახურვის მიზეზები და საქმის დახურვის თარიღი.

მუხლი 11

განაცხადის განხილვის შეწყვეტისას განაცხადის ფაილში შესატანი მონაცემები

▼M1

როდესაც ვიზის გამცემი ორგანო, რომელიც ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოს წარმოადგენს, განაცხადის განხილვას წყვეტს, მან განაცხადის ფაილში შემდეგი მონაცემები უნდა შეიყვანოს:

▼B

1. ინფორმაცია სტატუსის შესახებ, რომელიც აჩვენებს, რომ განაცხადის განხილვა შეწყვეტილია;
2. ის ორგანო, რომელმაც განაცხადის განხილვა შეწყვიტა, მისი ადგილმდებარეობის მითითებით;
3. განაცხადის განხილვის შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ადგილი და თარიღი;
4. წევრი სახელმწიფო, რომელსაც განაცხადის განხილვის კომპეტენცია აქვს.

მუხლი 12

ვიზის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში განაცხადის ფაილში შესატანი მონაცემები

1. იმ შემთხვევაში, თუ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ვიზის გაცემაზე უარის თქმის შესახებ ვიზის გამცემმა ორგანომ, განაცხადის ფაილში შემდეგი სახის მონაცემები უნდა შეიყვანოს:

▼M1

(ა) ინფორმაცია სტატუსის შესახებ, რომელიც შეიცავს ვიზის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას და ინფორმაციას ვიზის გამცემი ორგანოს მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების ევროკავშირის წევრი სხვა სახელმწიფოს სახელით მიღების თაობაზე;

▼B

(ბ) ვიზის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანო და მისი ადგილმდებარეობა;

(გ) ვიზის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი.

▼M1

2. განაცხადის ფაილში ასევე უნდა იყოს მითითებული ვიზის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი(ები), რაც შეიძლება მოიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთს ან რამდენიმეს:

(ა) განმცხადებელთან დაკავშირებული მიზეზები:

- 1) მან ყალბი ან ფალსიფიცირებული სამგზავრო დოკუმენტი წარმოადგინა;
- 2) მან არ წარმოადგინა ქვეყანაში დაგეგმილი ყოფნის დანიშნულების და პირობების დასაბუთება;
- 3) მან არ წარმოადგინა საკმარისი საარსებო საშუალებების არსებობის მტკიცებულება, როგორც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში ცხოვრებისთვის, ისე წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისთვის ან მესამე ქვეყანაში ტრანზიტისთვის (სადაც მას აუცილებლად მიიღებდნენ) ან მას არ გააჩნია ასეთი საშუალებების კანონიერად მიღების შესაძლებლობა;

▼M2

- 4) მას გამოყენებული აქვს 90 დღე მიმდინარე 180 დღიან პერიოდში ერთიანი ვიზის ან შეზღუდული ტერიტორიალური მოქმედების მქონე ვიზის ფარგლებში,

▼M1

- 5) წარმოადგენს პირს, რომლის მიმართ შენგენის საინფორმაციო სისტემაში არსებობს გაფრთხილება კონკრეტულ ქვეყანაში შესვლის აკრძალვასთან დაკავშირებით.
- 6) წარმოადგენს პირს, რომელიც შენგენის საზღვრების კოდექსის 2(19)-ე მუხლის შესაბამისად საჯარო პოლიტიკის, შიდა უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის საფრთხეს წარმოადგენს ან თუ იგი ევროკავშირის წევრი რომელიმე სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობებისთვის საფრთხედ არის მიჩნეული, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წევრი სახელმწიფოების ეროვნულ მონაცემთა ბაზებს ამ პიროვნების ქვეყანაში არშეშვებასთან დაკავშირებით გაფრთხილება აქვთ მიღებული;
- 7) პირის მიერ არ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი და მოქმედი სამგზავრო სამედიცინო დაზღვევის დოკუმენტი (იქ სადაც ამისი საჭიროება არსებობს);

(ბ) ქვეყანაში დაგეგმილი ყოფნის დანიშნულებისა და პირობების დასაბუთებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაცია არ იყო სანდო;

(გ) განმცხადებლის გეგმა წევრი სახელმწიფოების ტერიტორიის ვიზის ამოწურვამდე დატოვების შესახებ ვერ იქნა დადასტურებული;

(დ) განმცხადებელმა ვერ წარმოადგინა იმის საკმარისი მტკიცებულება, რომ მას ვიზის განაცხადის წინასწარ შემოტანა არ შეეძლო, რის გამოც მას ვიზის მოთხოვნა საზღვარზე მოუწია.

მუხლი 13

გაუქმებული ან შეწყვეტილი ვიზის შემთხვევაში განაცხადის ფაილში შესატანი მონაცემები

1. ვიზის გაუქმების ან შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ვიზის გამცემმა ორგანომ, განაცხადის ფაილში შემდეგი სახის მონაცემები უნდა შეიყვანოს:
 - (ა) ინფორმაცია სტატუსის შესახებ, რომელიც აჩვენებს რომ ვიზის გაუქმება ან შეწყვეტა მოხდა;
 - (ბ) ორგანო, რომელმაც ვიზის გაუქმება ან შეწყვეტა მოახდინა, მისი ადგილმდებარეობის მითითებით;
 - (გ) გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი.
2. განაცხადის ფაილში ასევე უნდა იყოს მითითებული ვიზის გაუქმების ან შეწყვეტის მიზეზ(ებ)ი:
 - (ა) 12(2)-ე მუხლში ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე მიზეზი;
 - (ბ) ვიზის მფლობელის თხოვნა მისი ვიზის გაუქმების თაობაზე.

▼B

მუხლი 14

ვიზის გაგრძელების შემთხვევაში განაცხადის ფაილში შესატანი მონაცემები

▼M1

1. გაცემული ვიზის მოქმედების ვადის და/ან ქვეყანაში დარჩენის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ვიზის გამცემმა ორგანომ, რომელმაც ვიზის გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღო, განაცხადის ფაილში შემდეგი სახის მონაცემები უნდა შეიყვანოს:

▼B

- (ა) ინფორმაცია სტატუსის შესახებ, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე;
- (ბ) ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, მისი ადგილმდებარეობის მითითებით;
- (გ) გადაწყვეტილების მიღების ადგილი და თარიღი;

▼M1

- (დ) გაგრძელებული ვიზის ბლანკის ნომერი;

▼B

- (ე) ვიზის მოქმედების გაგრძელების დაწყებისა და ამოწურვის თარიღები;
- (ვ) ქვეყანაში დარჩენის გაგრძელებული ვადის ხანგრძლივობა;

▼M1

(ზ) ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც ვიზის მფლობელს მოგზაურობა შეუძლია, იმ შემთხვევაში, როცა გაგრძელებულ ვიზაში მითითებული ტერიტორიები თავდაპირველ ვიზაში მითითებული ტერიტორიებისგან განსხვავდება;

▼B

(თ) ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელების კატეგორიები.

2. განაცხადის ფაილში ასევე უნდა იყოს მითითებული ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელების მიზეზები, ეს მიზეზები შეიძლება იყოს:

(ა) ფორს მაჟორი

(ბ) ჰუმანიტარული მიზეზები;

▼M1 _____

▼B

(დ) სერიოზული პირადი მიზეზები.

მუხლი 15

სავიზო საინფორმაციო სისტემის გამოყენება განაცხადების განსახილველად

1. განაცხადების განსახილველად და განაცხადებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად, მათ შორის, შესაბამისი დებულებების საფუძველზე ვიზის გაუქმებასთან, შეწყვეტასთან ან **►M1** გაგრძელებასთან ◀ დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად, კომპეტენტური სავიზო ორგანო სავიზო საინფორმაციო სისტემაში არსებულ მონაცემებს უნდა გაეცნოს.

2. პირველ პუნქტში მითითებული მიზნების განსახორციელებლად კომპეტენტურ სავიზო ორგანოებს შემდეგი სახის მონაცემებზე წვდომის და ამ მონაცემების მოძიების უფლება ექნებათ:

(ა) განაცხადის ნომერი;

(ბ) 9(4)(ა) პუნქტში აღნიშნული მონაცემები;

(გ) სამგზავრო დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია, რომელიც 9(4)(გ) პუნქტშია აღნიშნული;

(დ) ფიზიკური პირის გვარი, სახელი და მისამართი ან კომპანიის/სხვა ორგანიზაციის დასახელება და მისამართი, რომელიც 9(4)(ვ) პუნქტშია ნახსენები;

(ე) თითის ანაბეჭდები;

(ვ) დატანილი ვიზის ბლანკის ნომერი და მანამდე გაცემული ნებისმიერი ვიზის გაცემის თარიღი.

3. თუ მეორე პარაგრაფში მოხსენიებული მონაცემების მოძიების შედეგად აღმოჩნდება, რომ განმცხადებელთან დაკავშირებული ინფორმაცია სავიზო საინფორმაციო სისტემაშია შეყვანილი, კომპეტენტურ სავიზო ორგანოს განაცხადის ფაილ(ებ)ზე და მათთან დაკავშირებულ სხვა განაცხადის ფაილ(ებ)ზე წვდომა მე-8 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად მიენიჭება, მხოლოდ და მხოლოდ პირველ პარაგრაფში ნახსენები მიზნების მისაღწევად.

მუხლი 16

სავიზო საინფორმაციო სისტემის საკონსულტაციოდ გამოყენება და დოკუმენტაციის მოთხოვნა

1. სავიზო განაცხადებთან დაკავშირებით კონსულტაციების გამართვის მიზნებიდან გამომდინარე, ცენტრალურ სავიზო ორგანოებს შორის, შენგენის კონვენციის 17(2) მუხლის შესაბამისად, კონსულტაციების დაწყებასთან დაკავშირებული მოთხოვნები და მათზე პასუხები წინამდებარე მუხლის მეორე პუნქტში მოცემული წესების მიხედვით უნდა წარიმართოს.
2. ევროკავშირის იმ წევრმა სახელმწიფომ, რომელიც პასუხისმგებელია განაცხადის განხილვაზე, კონსულტაციის გამართვის მოთხოვნა განაცხადის ნომერთან ერთად და იმ წევრი სახელმწიფოს ან სახელმწიფოების მითითებით, რომელთანაც კონსულტაციების ჩატარება არის მოთხოვნილი, სავიზო საინფორმაციო სისტემას უნდა წარუდგინოს.
სავიზო საინფორმაციო სისტემამ აღნიშნული თხოვნა შესაბამის წევრ სახელმწიფოს ან სახელმწიფოებს უნდა წარუდგინოს.

აღნიშნულმა წევრმა სახელმწიფომ ან სახელმწიფოებმა თავიანთი პასუხები სავიზო საინფორმაციო სისტემას უნდა მიაწოდონ, რომელიც, თავის მხრივ, ამ პასუხებს კონსულტაციის ინიციატორ წევრ სახელმწიფოს გადასცემს.
3. მეორე პუნქტში მოცემული პროცედურა ასევე შეიძლება ფარავდეს შეზღუდული ტერიტორიალური მოქმედების ვიზებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოწოდების საკითხსა და იმ გზავნილებს, რომლებიც საკონსულო თანამშრომლობასა და კომპეტენტური სავიზო ორგანოებისგან სამგზავრო დოკუმენტაციის და განაცხადის თანმდევი სხვა დოკუმენტების (და მათი ელექტრონული ასლების) გამოთხოვნასთან არის დაკავშირებული. კომპეტენტურმა სავიზო ორგანოებმა ამგვარ თხოვნებზე დაუყოვნებლივ უნდა მოახდინონ რეაგირება.
4. წინამდებარე მუხლის ფარგლებში მიწოდებული პირადი მონაცემები მხოლოდ ცენტრალური სავიზო ორგანოებთან კონსულტაციისა და საკონსულო თანამშრომლობისთვის უნდა იქნას გამოყენებული.

მუხლი 17

მონაცემების გამოყენება ანგარიშგებისა და სტატისტიკისთვის

კომპეტენტურ ვიზის გამცემ ორგანოებს ინდივიდუალური განმცხადებლების დადგენის გარეშე მხოლოდ ანგარიშგებისა და სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების მიზნით მხოლოდ შემდეგი სახის მონაცემების მოძიების უფლება აქვთ:

1. ინფორმაცია სტატუსის შესახებ;
2. კომპეტენტური სავიზო ორგანო, მისი ადგილმდებარეობის მითითებით;
3. განმცხადებლის მიმდინარე მოქალაქეობა;

4. ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, რომელშიც განმცხადებელი თავდაპირველად შევიდა (ან აპირებს შესვლას);

▼B

5. განაცხადის თარიღი და ადგილი ან ვიზის გაცემასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება;

▼M1

6. გაცემული ვიზის კატეგორია

▼B

7. სამგზავრო დოკუმენტის სახეობა;

8. ვიზის ან სავიზო განაცხადის შესახებ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მითითებული მიზეზები;

9. კომპეტენტური ვიზის გამცემი ორგანო, მისი ადგილმდებარეობის მითითებით, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ვიზის გაცემაზე უარის თქმის შესახებ და უარის თქმის თარიღი;

10. შემთხვევები, როდესაც ერთმა და იმავე განმცხადებელმა რამდენიმე (ერთზე მეტ) ვიზის გამცემ ორგანოში შეიტანა სავიზო განაცხადი (უნდა მოხდეს ამ ვიზის გამცემი ორგანოების, მათი ადგილმდებარეობის და უარის თქმის თარიღების მითითება);

▼M1

11. მგზავრობის მთავარი მიზანი (მიზნები);

▼B

12. შემთხვევები, როდესაც 9(6)-ე მუხლში აღნიშნული მონაცემების მოწოდება, (8(5)-ე მუხლის მეორე წინადადების შესაბამისად, შეუძლებელი იყო

13. შემთხვევები როდესაც 9(6)-ე მუხლში აღნიშნული მონაცემების მოწოდება, 8(5)-ე მუხლის მეორე წინადადების შესაბამისად, სამართლებრივი მიზეზების გამო არ იყო აუცილებელი;

14. შემთხვევები, როდესაც იმ პირს, რომელსაც 9(6)-ე მუხლში ნახსენები მონაცემების მოწოდება არ შეეძლო, უარი ეთქვა ვიზის გაცემაზე (8(5)-ე მუხლის მეორე წინადადების შესაბამისად.

თავი 3

მუხლი 18 სხვა ორგანოების წვდომა მონაცემებზე

მონაცემებზე წვდომა ინფორმაციის დასადასტურებლად სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე

1. ვიზის მფლობელის იდენტობის და/ან ვიზის ნამდვილობის დადასტურების და/ან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შესვლის შენგენის სასაზღვრო კოდექსის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების შემოწმების მიზნით, კომპეტენტურ ორგანოებს, რომლებსაც სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე შენგენის სასაზღვრო კოდექსის ფარგლებში შემოწმების ჩატარების უფლება აქვთ, მე-2 და მე-3

პუნქტების მიხედვით სავიზო საინფორმაციო სისტემაში მონაცემების მოძიების უფლება აქვთ (დატანილი ვიზის ბლანკის ნომრისა და ვიზის მფლობელის თითის ანაბეჭდების გამოყენებით).

2. სავიზო საინფორმაციო სისტემის ამოქმედებიდან არაუმეტეს სამი წლის მანძილზე აღნიშნული ძიების ჩატარება მხოლოდ დატანილი ვიზის ბლანკის ნომრის გამოყენებით იქნება ნებადართული. სავიზო საინფორმაციო სისტემის ამოქმედებიდან ერთი წლის შემდეგ აღნიშნული სამწლიანი პერიოდის შემცირება 49(3)-ე მუხლში მოცემული პროცედურების მიხედვით არის შესაძლებელი (საპაერო საზღვრებთან მიმართებით).
3. იმ ვიზის მფლობელების შემთხვევაში, რომელთა თითის ანაბეჭდების გამოყენება შეუძლებელია, ძიება მხოლოდ დატანილი ვიზის ბლანკის ნომრის მეშვეობით განხორციელდება.
4. თუ პირველ პარაგრაფში აღნიშნული მონაცემების ძიების შედეგად აღმოჩნდება, რომ ვიზის მფლობელთან დაკავშირებული მონაცემები სავიზო საინფორმაციო სისტემაშია შეყვანილი, მაშინ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე შემოწმების ჩამტარებელ კომპეტენტურ ორგანოებს მხოლოდ და მხოლოდ 1-ელ პუნქტში აღნიშნული მიზნების განხორციელებისთვის, მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, განაცხადის ფაილში და მასთან დაკავშირებულ განაცხადის სხვა ფაილ(ებ)ში მოცემული შემდეგი სახის მონაცემების ნახვის უფლება ექნებათ:

(ა) მე-9 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებში აღნიშნული მონაცემები, მათ შორის, ინფორმაცია სტატუსის შესახებ და განაცხადის ფორმიდან ამოღებული მონაცემები;

(ბ) ფოტოები;

(გ) გაცემულ, გაუქმებულ, შეწყვეტილ ან გაგრძელებულ ვიზებთან დაკავშირებით შეყვანილი მონაცემები ►M1 ————— ◀, რომლებიც მე-10, მე-13 და მე-14 მუხლებშია აღნიშნული.

5. იმ შემთხვევებში, თუ ვიზის მფლობელის იდენტობა ან ვიზა არ დადასტურდა, ან როდესაც ვიზის მფლობელის იდენტობასა და ვიზის და/ან სამგზავრო დოკუმენტის ავთენტურობასთან დაკავშირებით ეჭვები არსებობს, აღნიშნული კომპეტენტური ორგანოების შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ პერსონალს ამ მონაცემებზე წვდომა მე-20 მუხლის 1 და მე-2 პუნქტების მიხედვით მიენიჭება.

მუხლი 19

მონაცემებზე წვდომა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე, მათი გადამოწმების მიზნით

1. ვიზის მფლობელის ვინაობის და/ან ვიზის ნამდვილობის დადასტურების და/ან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შესვლის, დარჩენის ან ცხოვრების პირობების დაკმაყოფილების შემოწმების მიზნით, კომპეტენტურ ორგანოებს, რომლებსაც წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შემოწმების ჩატარების უფლება გააჩნიათ, დატანილი ვიზის ბლანკის ნომრის გამოყენებით და ამ ნომრის ან ვიზის მფლობელის თითის ანაბეჭდების შემოწმების ჩატარების მეშვეობით სავიზო საინფორმაციო სისტემაში მონაცემების მოძიების უფლება აქვთ.

იმ ვიზის მფლობელების შემთხვევაში, რომელთა თითის ანაბეჭდების გამოყენება შეუძლებელია, მონაცემების ძიება მხოლოდ დატანილი ვიზის ბლანკის ნომრის მეშვეობით განხორციელდება.

2. თუ პირველ პუნქტში აღნიშნული მონაცემების შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ ვიზის მფლობელთან დაკავშირებული მონაცემები სავიზო საინფორმაციო სისტემაშია შეყვანილი, მაშინ კომპეტენტურ ორგანოებს, მხოლოდ და მხოლოდ 1-ელ პუნქტში აღნიშნული მიზნების განხორციელებისთვის, მე-8 მუხლის მე-4 პარაგრაფის შესაბამისად, განაცხადის ფაილსა და მასთან დაკავშირებულ განაცხადის სხვა ფაილ(ებ)ში მოცემული შემდეგი სახის მონაცემების ნახვის უფლება ექნებათ:

(ა) ინფორმაცია სტატუსის შესახებ და განაცხადის ფორმიდან ამოღებული მონაცემები, რომლებიც მე-9 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებშია აღნიშნული;

(ბ) ფოტოები;

(გ) გაცემულ, გაუქმებულ, შეწყვეტილ ან გაგრძელებულ ვიზებთან დაკავშირებით შეყვანილი მონაცემები **M1** ————— ◀, რომლებიც მე-10, მე-13 და მე-14 მუხლებშია აღნიშნული.

3. იმ შემთხვევებში, თუ ვიზის მფლობელის იდენტიფიკაცია ან ვიზა არ დადასტურდა ან როდესაც ვიზის მფლობელის იდენტიფიკაცია და ვიზის და/ან სამგზავრო დოკუმენტის ავთენტურობასთან დაკავშირებით ეჭვები არსებობს, აღნიშნული კომპეტენტური ორგანოების შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ პერსონალს ამ მონაცემებზე წვდომა მე-20 მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტების მიხედვით მიენიჭება.

მუხლი 20

მონაცემებზე წვდომა იდენტიფიცირების მიზნით

1. მხოლოდ ისეთი პირის იდენტიფიცირების მიზნით, რომელიც ვერ ან ვეღარ აკმაყოფილებს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შესვლის, დარჩენის ან ცხოვრების პირობებს, კომპეტენტურ ორგანოებს, რომლებსაც სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე შენგენის სასაზღვრო კოდექსის ფარგლებში ამ სახის შემოწმების ჩატარების უფლება ან წევრი სახელმწიფოების ტერიტორიის შიგნით ამგვარი შემოწმების განხორციელების უფლებამოსილება აქვთ, სავიზო საინფორმაციო სისტემაში თითის ანაბეჭდების მეშვეობით ამ პირის მონაცემების მოძიების უფლება ექნებათ.

იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული პირის თითის ანაბეჭდების გამოყენება შეუძლებელია ან თითის ანაბეჭდებით ჩატარებული ძიება შედეგებს არ იძლევა, აღნიშნული ძიება მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის (ა) და/ან (გ) ქვეპუნქტებში აღნიშნული მონაცემების გამოყენებით მოხდება, ეს ძიება მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტში აღნიშნული მონაცემების გამოყენებითაც შეიძლება განხორციელდეს.

2. თუ პირველ პუნქტში აღნიშნული მონაცემების შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ განმცხადებელთან დაკავშირებული მონაცემები სავიზო საინფორმაციო სისტემაშია შეყვანილი, მაშინ კომპეტენტურ ორგანოებს, მხოლოდ და მხოლოდ 1-ელ პუნქტში აღნიშნული მიზნების განხორციელებისთვის, მე-8 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, განაცხადის ფაილში და მასთან დაკავშირებულ განაცხადის სხვა ფაილ(ებ)ში მოცემული შემდეგი სახის მონაცემების ნახვის უფლება ექნებათ:

(ა) განაცხადის ნომერი, ინფორმაცია სტატუსის შესახებ და ორგანო, რომელშიც განაცხადი იქნა შეტანილი;

(ბ) განაცხადის ფორმიდან ამოღებული მონაცემები, რომლებიც მე-9 მუხლის მე-4 პარაგრაფშია ნახსენები;

(გ) ფოტოები;

(დ) გაცემულ, გაუქმებულ, შეწყვეტილ ან გაგრძელებულ ვიზებთან ან იმ განაცხადებთან დაკავშირებით შეყვანილი მონაცემები, რომელთა განხილვა შეწყდა [▶M1](#) ————— ◀, აღნიშნული მონაცემები 10-14 მუხლებშია ნახსენები.

3. ვიზის არსებობის შემთხვევაში, კომპეტენტურმა ორგანოებმა პირველ რიგში სავიზო საინფორმაციო სისტემაში არსებული ინფორმაცია მე-18 და მე-19 მუხლების შესაბამისად უნდა გამოიყენონ.

მუხლი 21

მონაცემებზე წვდომა თავშესაფრის თხოვნასთან დაკავშირებული განაცხადების განხილვაზე პასუხისმგებლობის განსასაზღვრის მიზნით

1. თავშესაფრის მოთხოვნაზე განაცხადების განმხილველ კომპეტენტურ ორგანოებს სავიზო საინფორმაციო სისტემაში თავშესაფრის მამიებლების თითის ანაბეჭდების გამოყენებით მონაცემების მოძიების უფლება ექნებათ მხოლოდ და მხოლოდ ევროკავშირის იმ წევრი სახელმწიფოს განსასაზღვრად, რომელიც თავშესაფრის შესახებ თხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელი ევროკავშირის საბჭოს #343/2003 რეგულაციის მე-9 და 21-ე მუხლების მიხედვით.

იმ შემთხვევებში, როდესაც თავშესაფრის მამიებლის თითის ანაბეჭდების გამოყენება შეუძლებელია ან თითის ანაბეჭდებით ჩატარებული ძიება შედეგებს არ იძლევა, აღნიშნული ძიება მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის (ა) და/ან (გ) ქვეპუნქტებში ნახსენები მონაცემების გამოყენებით მოხდება, ეს ძიება მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტში ნახსენები მონაცემების გამოყენებითაც შეიძლება განხორციელდეს.

2. თუ პირველ პუნქტში აღნიშნული მონაცემების შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ ვიზა, რომლის მოქმედების ვადა თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადის თარიღზე არაუმეტეს ექვსი თვით ადრე ამოიწურა და/ან ის გაგრძელებული ვიზა, რომლის მოქმედების ვადა თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადის თარიღზე არაუმეტეს ექვსი თვით ადრე ამოიწურა, სავიზო საინფორმაციო სისტემაშია შეყვანილი, მაშინ თავშესაფრის მოთხოვნის განმხილველ კომპეტენტურ ორგანოებს, მხოლოდ და მხოლოდ 1-ელ პუნქტში აღნიშნული მიზნებისათვის, მე-8 მუხლის მე-4 პარაგრაფის შესაბამისად, განაცხადის ფაილსა და (ზ) ქვეპუნქტში მეუღლისა და შვილების შესახებ მოცემული მონაცემების ნახვის უფლება ექნებათ:

(ა) განაცხადის ნომერი და ის ორგანო, რომელმაც ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო და ასევე ინფორმაცია იმის შესახებ, გასცა თუ არა ამ ორგანომ აღნიშნული ვიზა ევროკავშირის წევრი სხვა სახელმწიფოს სახელით;

(ბ) განაცხადის ფორმიდან ამოღებული მონაცემები, რომლებიც მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის (ა) და (ბ) ქვეპუნქტებშია აღნიშნული;

(გ) ვიზის კატეგორია;

(დ) ვიზის მოქმედების ვადა;

(ე) ქვეყანაში დარჩენის დაგეგმილი ვადა;

(ვ) ფოტოები;

(ზ) განაცხადის ფაილ(ებ)ში მოცემული ინფორმაცია განმცხადებლის მეუღლესა და შვილებზე, რომელიც მე-9 მუხლის მეოთხე პარაგრაფის (ა) და (ბ) ქვეპუნქტებშია აღნიშნული.

3. სავიზო საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების გაცნობა, რასაც წინამდებარე მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტები ითვალისწინებს, მხოლოდ და მხოლოდ ევროკავშირის საბჭოს #343/2003 რეგულაციის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტი აღნიშნულმა შესაბამისმა ეროვნულმა ორგანოებმა უნდა განახორციელონ.

მუხლი 22

მონაცემებზე წვდომა თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ შემოტანილი განაცხადის შესამოწმებლად

1. თავშესაფრის შესახებ შემოტანილი განაცხადების განხილვაზე პასუხისმგებელ კომპეტენტურ ორგანოებს ევროკავშირის საბჭოს #343/2003 რეგულაციის 21-ე მუხლის შესაბამისად, თავშესაფრის მაძიებლის თითის ანაბეჭდების დახმარებით სავიზო საინფორმაციო სისტემაში მხოლოდ და მხოლოდ თავშესაფრის თხოვნის შესახებ შემოტანილი განაცხადის შემოწმების მიზნით მონაცემების მოძიების უფლება ექნებათ.

იმ შემთხვევებში, როდესაც თავშესაფრის მაძიებლის თითის ანაბეჭდების გამოყენება შეუძლებელია ან თითის ანაბეჭდებით ჩატარებული ძიება შედეგებს არ იძლევა, აღნიშნული ძიება მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის (ა) და/ან (გ) ქვეპუნქტებში აღნიშნული მონაცემების გამოყენებით მოხდება; ეს ძიება მე-9 მუხლის მე-4 პარაგრაფის (ბ) პუნქტში ნახსენები მონაცემების გამოყენებითაც შეიძლება განხორციელდეს.

2. თუ პირველ პარაგრაფში აღნიშნული მონაცემების შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ გაცემული ვიზა სავიზო საინფორმაციო სისტემაშია შეყვანილი, მაშინ თავშესაფრის მოთხოვნის განმხილველ კომპეტენტურ ორგანოებს, მხოლოდ და მხოლოდ 1-ელ პარაგრაფში აღნიშნული მიზნებისათვის, მე-8 მუხლის მე-3 პარაგრაფის შესაბამისად, თავშესაფრის მაძიებლის განაცხადის ფაილში და მასთან დაკავშირებულ განაცხადის სხვა ფაილ(ებ)ში არსებული მონაცემებისა და განმცხადებლის მეუღლესა და შვილებთან დაკავშირებული, (ე) ქვეპუნქტში აღნიშნული მონაცემების ნახვის უფლება ექნებათ (მე-8 მუხლის მე-4 პარაგრაფის შესაბამისად):

(ა) განაცხადის ნომერი;

(ბ) განაცხადის ფორმიდან ამოღებული მონაცემები, რომლებიც მე-9 მუხლის მეოთხე პუნქტის (ა), (ბ) და (გ) ქვეპუნქტებშია აღნიშნული;

(გ) ფოტოები;

(დ) გაცემულ, გაუქმებულ, შეწყვეტილ ან გაგრძელებულ ვიზებთან დაკავშირებით შეყვანილი მონაცემები [►M1](#) ————— ◀, რომლებიც მე-10, მე-13 და მე-14 მუხლებშია აღნიშნული;

(ე) განაცხადის ფაილ(ებ)ში არსებული მონაცემები განმცხადებლის მეუღლესა და შვილებზე, რომლებიც მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის (ა) და (ბ) ქვეპუნქტებშია აღნიშნული.

3. სავიზო საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების გაცნობა, რასაც წინამდებარე მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტები ითვალისწინებს, მხოლოდ და მხოლოდ ევროკავშირის საბჭოს #343/2003 რეგულაციის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნულმა შესაბამისმა ეროვნულმა ორგანოებმა უნდა განახორციელონ.

თავი IV

მონაცემების შენახვა და შეცვლა

მუხლი 23

მონაცემების შენახვის პერიოდი

1. თითოეული განაცხადის ფაილი სავიზო საინფორმაციო სისტემაში უნდა ინახებოდეს არაუმეტეს ხუთი წლის ვადით, ამ ფაილების წაშლის წესების შესახებ 24-ე და 25-ე მუხლებისა და მათი შენახვის წესების შესახებ 34-ე მუხლის დარღვევის გარეშე.

აღნიშნული პერიოდი იწყება:

(ა) ვიზის ამოწურვის თარიღით (თუ ვიზა გაცემულია);

(ბ) ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში - ვიზის ამოწურვის ახალი თარიღით;

(გ) სავიზო საინფორმაციო სისტემაში განაცხადის ფაილის შექმნის თარიღით (როდესაც განაცხადის შეწყვეტა ან დახურვა ხდება ან გაუქმება);

(დ) ვიზის გამცემი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თარიღით (როდესაც ვიზაზე უარის თქმა, ვიზის გაბათილება [►M1](#) ————— ◀ ან შეწყვეტა).

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში ნახსენები პერიოდის ამოწურვის შემდეგ სავიზო საინფორმაციო სისტემა განაცხადის ფაილსა და მასთან მე-8 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად დაკავშირებულ დოკუმენტებს ავტომატურად წაშლის.

მუხლი 24

მონაცემების შეცვლა

1. ევროკავშირის მხოლოდ შესაბამის (პასუხისმგებელ) წევრ სახელმწიფოს აქვს უფლება, შეცვალოს სავიზო საინფორმაციო სისტემაში მის მიერ შეყვანილი მონაცემები, მათი შესწორებით ან წაშლით.

2. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე წევრ სახელმწიფოს აქვს მტკიცებულებები, რომლებიც სავიზო საინფორმაციო სისტემაში დამუშავებული მონაცემების უზუსტობაზე ან სავიზო საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების ამ სახელმწიფოს რეგულაციების დარღვევით დამუშავებაზე მიუთითებს, მაშინ მან ამის შესახებ შესაბამის

(პასუხი მსგებელ) წევრ სახელმწიფოს დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს. ამგვარი შეტყობინება სავიზო საინფორმაციო სისტემის ინფრასტრუქტურის მეშვეობით შეიძლება იქნას გადაცემული.

- შესაბამისმა წევრმა სახელმწიფომ აღნიშნული მონაცემები უნდა შეამოწმოს და, საჭიროების შემთხვევაში, შეასწოროს და წაშალოს ისინი.

მუხლი 25

მონაცემების ვადაზე ადრე წაშლა

- იმ შემთხვევაში, თუ 23-ე მუხლის 1-ელ პუნქტში მოცემული პერიოდის ამოწურვამდე განმცხადებელი ევროკავშირის რომელიმე წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობას მიიღებს, მასთან დაკავშირებული განაცხადის ფაილები და მე-8 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში აღნიშნული ბმულები დაუყოვნებლივ უნდა იქნას ამოშლილი სავიზო საინფორმაციო სისტემიდან იმ წევრი სახელმწიფოს მიერ, რომელმაც შესაბამისი განაცხადის ფაილ(ებ)ი და მისი ბმულები შექმნა.
- თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ შესაბამის წევრ სახელმწიფო(ებ)ს დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს იმის შესახებ, რომ კონკრეტულმა განმცხადებელმა მისი მოქალაქეობა მიიღო. ამგვარი შეტყობინება სავიზო საინფორმაციო სისტემის ინფრასტრუქტურის მეშვეობით შეიძლება იქნას გადაცემული.
- იმ შემთხვევაში, თუ ვიზაზე უარის თქმა სასამართლოს ან სააპელაციო ორგანოს მიერ იქნა გაბათილებული, მაშინ იმ წევრმა სახელმწიფომ, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ვიზის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, მე-12 მუხლში აღნიშნული მონაცემები სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე უნდა წაშალოს.

თავი V

მართვა და პასუხისმგებლობები

მუხლი 26

ოპერატიული მართვა

- გარდამავალი პერიოდის შემდეგ, ევროკავშირის საერთო ბიუჯეტით დაფინანსებული მმართველობითი ორგანო პასუხისმგებელი იქნება ცენტრალური სავიზო საინფორმაციო სისტემისა და ეროვნული ინტერფეისების ოპერატიულ მართვაზე. აღნიშნულმა მმართველობითმა ორგანომ წევრ სახელმწიფოებთან თანამშრომლობით უნდა უზრუნველყოს, რომ ცენტრალური სავიზო საინფორმაციო სისტემა და ეროვნული ინტერფეისები მუდმივად, ხარჯებისა და მოგების ანალიზის შესაბამისად, ხელმისაწვდომ საუკეთესო ტექნოლოგიებს იყენებდნენ.
- გარდა ამისა, მმართველობითი ორგანო ცენტრალურ სავიზო საინფორმაციო სისტემასა და ეროვნულ ინტერფეისებს შორის საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული შემდეგი მოვალეობების შესრულებაზე იქნება პასუხისმგებელი:

(ა) ზედამხედველობა;

(ბ) უსაფრთხოება;

(გ) წევრ სახელმწიფოებსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთობების ხელშეწყობა.

3. ევროკომისია პასუხისმგებელი იქნება ყველა დანარჩენი მოვალეობების შესრულებაზე, რომლებიც ცენტრალურ სავიზო საინფორმაციო სისტემასა და ეროვნულ ინტერფეისებს შორის არსებულ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურასთან არის დაკავშირებული, კერძოდ:

(ა) ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებული მოვალეობები;

(ბ) შესყიდვა და განახლება;

(გ) სახელშეკრულებო საკითხები.

4. გარდამავალი პერიოდის მანძილზე, სანამ მმართველობითი ორგანო საკუთარი მოვალეობების შესრულებას შეუდგება, სავიზო საინფორმაციო სისტემის ოპერატიულ მართვაზე პასუხისმგებელი ევროკომისია იქნება. ევროკომისიას ამ მოვალეობისა და ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებული მოვალეობების დელეგირება ორ სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში არსებულ ეროვნულ საჯარო ორგანოსთვის ევროგაერთიანების საერთო ბიუჯეტის ფინანსური რეგულირების შესახებ ევროკავშირის საბჭოს 2002 წლის 25 ივნისის (EC, Euratom) #1605/2002 რეგულაციის საფუძველზე ([23](#)) შეუძლია.

5. მე-4 პუნქტში ნახსენებმა თითოეულმა ეროვნულმა საჯარო ორგანომ შერჩევის შემდეგი კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს:

(ა) უნდა აჩვენოს, რომ ფართომასშტაბიანი საინფორმაციო სისტემის მართვის დიდი გამოცდილება აქვს;

(ბ) უნდა ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა ფართომასშტაბიანი საინფორმაციო სისტემის მომსახურებისა და უსაფრთხოების მოთხოვნების დაკმაყოფილების კუთხით;

(გ) უნდა ჰყავდეს საკმარისი, გამოცდილი პერსონალი, რომელსაც შესაბამისი პროფესიული ცოდნა და ენობრივი უნარები ექნება საერთაშორისო თანამშრომლობის გარემოში სამუშაოდ, რაც სავიზო საინფორმაციო სისტემასთან მუშაობისთვის არის საჭირო;

(დ) უნდა ჰქონდეს დაცული და მორგებული ინფრასტრუქტურა, რომელსაც ფართომასშტაბიანი საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების განგრძობითად მოქმედების გარანტირება და დაცვა შეუძლია;

(ე) ადმინისტრაციულმა გარემომ უნდა უზრუნველყოს, მისი მოვალეობების სათანადოდ შესრულება და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება .

6. მე-4 პუნქტში ნახსენებ დელეგირებამდე და დელეგირების შემდეგ რეგულარული ინტერვალებით, ევროკომისიამ ევროპის პარლამენტსა და ევროკავშირის საბჭოს დელეგირების პირობებისა და მისი ზუსტი მასშტაბის შესახებ და ასევე, იმ ორგანოების თაობაზე უნდა აცნობოს, რომლებსაც კონკრეტული მოვალეობების შესრულება აქვთ დელეგირებული.

7. იმ შემთხვევაში როდესაც ევროკომისია საკუთარი მოვალეობების დელეგირებას ახდენს (მე-4 პუნქტის შესაბამისად), მან უნდა უზრუნველყოს ის, რომ აღნიშნული დელეგირება სრულად ჯდება ევროკავშირის შეთანხმებაში მოცემული ინსტიტუციური სისტემით დადგენილ ფარგლებში. კერძოდ, ევროკომისიამ უნდა უზრუნველყოს, რომ დელეგირება უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული ეფექტური კონტროლის მექანიზმებზე, რომლებიც სასამართლოს,

ევროპის აუდიტორთა სასამართლოს ან ევროპის მონაცემების დაცვის ზედამხედველის ფარგლებში არსებობს.

8. სავიზო საინფორმაციო სისტემის ოპერატიული მართვა ყველა იმ მოვალეობებისგან შედგება, რომელიც, წინამდებარე რეგულაციის შესაბამისად, სავიზო საინფორმაციო სისტემის 24-საათიანი, ყოველდღიური ფუნქციონირებისთვის არის აუცილებელი, კონკრეტულად, ტექნიკურ მომსახურებისა და ცვლილებებისაგან, რომლებიც სისტემის დამაკმაყოფილებელ დონეზე მუშაობის უზრუნველსაყოფად არის საჭირო, განსაკუთრებით იმ დროსთან დაკავშირებით, რომელიც საკონსულოების მიერ ცენტრალურ მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის მოძიებისთვისაა საჭირო და რომელიც შესაძლებლად მოკლე უნდა იყოს.
9. ევროკავშირის საბჭოს (EEC, Euratom, ECSC) #259/68 რეგულაციაში მოცემული ევროგაერთიანების პერსონალის რეგულაციების მე-17 მუხლის ⁽²⁴⁾ მოქმედების დარღვევის გარეშე, მმართველმა ორგანომ სავიზო საინფორმაციო სისტემასთან მომუშავე ყველა თანამშრომლისთვის პროფესიულ საიდუმლოებებსა და კონფიდენციალურობის დაცვასთან დაკავშირებული სხვა მსგავსი წესები უნდა აამოქმედოს. აღნიშნული ვალდებულება აღარ იმოქმედებს მას შემდეგ, რაც ეს თანამშრომლები სამსახურს დატოვებენ ან მას შემდეგ, რაც მათი საქმიანობა დასრულდება.

მუხლი 27

ცენტრალური სავიზო საინფორმაციო სისტემის ადგილმდებარეობა

მთავარი (ცენტრალური) სავიზო საინფორმაციო სისტემა, რომელიც ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს და ადმინისტრაციულ ფუნქციებს შეასრულებს, სტრასბურგში (საფრანგეთი) იქნება განლაგებული, ხოლო დამხმარე ცენტრალური სავიზო საინფორმაციო სისტემა, რომელსაც სისტემაში პრობლემების გაჩენის შემთხვევაში მთავარი (ცენტრალური) სავიზო საინფორმაციო სისტემის ყველა ფუნქციის შესრულება შეუძლია, სანქტ-იოჰან-იმ-პონგაუში (ავსტრია)

მუხლი 28

კავშირი ეროვნულ სისტემებთან

1. სავიზო საინფორმაციო სისტემის ევროკავშირის თითოეულ წევრ სახელმწიფოსთან დაკავშირება ამ სახელმწიფოებში არსებული ეროვნული ინტერფეისების მეშვეობით მოხდება.
2. ევროკავშირის თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა გამოყოს ეროვნული ორგანო, რომელიც მე-6 მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტში ნახსენები კომპეტენტური ორგანოების სავიზო საინფორმაციო სისტემასთან წვდომას უზრუნველყოფს და ის ეროვნულ ინტერფეისთან დაკავშირებს.
3. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ მონაცემების დამუშავების ავტომატურ პროცედურებზე დაკვირვება უნდა აწარმოოს.
4. თითოეული წევრი სახელმწიფო პასუხისმგებელია:

(ა) ეროვნული სისტემის განვითარებაზე და/ან არსებული სისტემის სავიზო საინფორმაციო სისტემასთან მორგებაზე, ევროკავშირის #2004/512/EC გადაწყვეტილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად;

(ბ) მისი ეროვნული სისტემის ორგანიზებაზე, მართვაზე, მუშაობასა და ტექნიკურ მხარდაჭერაზე;

(გ) კომპეტენტური ეროვნული ორგანოების შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების სავიზო საინფორმაციო სისტემასთან წვდომის მართვასა და უზრუნველყოფაზე წინამდებარე რეგულაციის ნორმების მიხედვით, ასეთი პერსონალის სიის დადგენასა და მათი პროფილების რეგულარულ განახლებაზე;

(დ) ეროვნული სისტემისა და ამ სისტემის ეროვნულ ინტერფეისთან დაკავშირების ხარჯების დაფარვაზე, მათ შორის, ეროვნული ინტერფეისისა და ნაციონალური სისტემის ერთმანეთთან დამაკავშირებელ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების განხორციელებასა და ამ ინფრასტრუქტურის - ოპერატიული ხარჯების დაფარვაზე.

5. სავიზო საინფორმაციო სისტემაში შენახული მონაცემების დამუშავების ნებართვის მიღებამდე, იმ ორგანოების პერსონალმა, რომელსაც სავიზო საინფორმაციო სისტემაში შესვლის უფლება გააჩნია, მონაცემთა უსაფრთხოებასა და დაცვის წესებზე შესაბამისი სწავლება უნდა გაიაროს და უნდა ეცნობოს შესაბამისი სისხლის სამართლის დანაშაულებისა და სასჯელების შესახებ.

მუხლი 29

პასუხისმგებლობა მონაცემების გამოყენებაზე

1. ევროკავშირის თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ მონაცემების კანონიერად დამუშავების პროცესი უნდა უზრუნველყოს. კერძოდ, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პერსონალის წვდომა სავიზო საინფორმაციო სისტემაში დამუშავებულ მონაცემებზე, რაც ამ პერსონალის მიერ წინამდებარე რეგულაციით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად არის საჭირო. კონკრეტულად, თითოეულმა პასუხისმგებლმა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შემდეგი:

(ა) მონაცემების შეგროვების კანონიერების დაცვის პრინციპი

(ბ) მონაცემების სავიზო საინფორმაციო სისტემაში გადატანაკანონიერების დაცვის პრინციპით ;

(გ) სავიზო საინფორმაციო სისტემაში გადატანისას მონაცემები იყოს ზუსტი და განახლებული.

2. მმართველმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს სავიზო საინფორმაციო სისტემის წინამდებარე რეგულაციის ნორმების მიხედვით მართვა და წინამდებარე რეგულაციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული ნორმების შესრულება. კერძოდ, მმართველმა ორგანომ:

(ა) უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ცენტრალური სავიზო საინფორმაციო სისტემის უსაფრთხოებისა და ცენტრალური სავიზო საინფორმაციო სისტემისა და ეროვნული

ინტერფეისების დამაკავშირებელი საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, თითოეული წევრი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დარღვევის გარეშე.

(ბ) უნდა უზრუნველყოს მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პერსონალის წვდომა სავიზო საინფორმაციო სისტემაში დამუშავებულ მონაცემებზე, რაც მმართველი ორგანოს მიერ წინამდებარე რეგულაციით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად არის საჭირო.

3. მმართველმა ორგანომ მე-2 პუნქტის შესაბამისად მიღებული ზომების შესახებ ევროპის პარლამენტს, ევროკავშირის საბჭოსა და ევროკომისიას უნდა აცნობოს.

მუხლი 30

სავიზო საინფორმაციო სისტემის მონაცემების ეროვნულ დოკუმენტებში შენახვა

1. სავიზო საინფორმაციო სისტემიდან მიღებული მონაცემების ეროვნულ არქივებში შენახვა მხოლოდ ინდივიდუალურ შემთხვევებშია შესაძლებელი, როდესაც ამის საჭიროება არსებობს სავიზო საინფორმაციო სისტემის დანიშნულებისა და შესაბამისი სამართლებრივი ნორმებიდან, მათ შორის მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული ნორმებიდან გამომდინარე და არაუმეტეს იმ პერიოდისა, რომელიც მხოლოდ ამ ინდივიდუალური შემთხვევებისთვის არის აუცილებელი.
2. წინამდებარე მუხლის 1-ელი პუნქტი არ არღვევს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უფლებას, ეროვნულ არქივში შეინახოს ის მონაცემები, რომლებიც ამ სახელმწიფოებმა შეიყვანეს სავიზო საინფორმაციო სისტემაში.
3. მონაცემების 1-ელ და მე-2 პუნქტებში მოცემული ნორმების დარღვევით გამოყენება თითოეული წევრი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში არასწორ გამოყენებად ჩაითვლება.

მუხლი 31

მონაცემების მესამე ქვეყნებისთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის გადაცემა

1. წინამდებარე რეგულაციის ფარგლებში სავიზო საინფორმაციო სისტემაში დამუშავებული მონაცემები მესამე ქვეყანას ან საერთაშორისო ორგანიზაციას არ უნდა გადაეცეს.
2. წინამდებარე მუხლის 1-ელ პუნქტში მოცემული წესის გამონაკლისის სახით, მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის (ა), (ბ), (გ), (დ) და (ე) ქვეპუნქტებში მოცემული მონაცემების გადაცემა მესამე ქვეყნისთვის ან დანართში მოცემული საერთაშორისო ორგანიზაციისთვის შესაძლებელია, თუ ეს ინდივიდუალურ შემთხვევებში მესამე ქვეყნის მოქალაქეების იდენტობის დასადასტურებლად არის აუცილებელი (მათ შორის უკან დაბრუნების მიზნითაც), თუმცა ამის გაკეთება მხოლოდ შემდეგი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაშია ნებადართული:

(ა) ევროკომისიას მიღებული აქვს გადაწყვეტილება აღნიშნულ მესამე ქვეყანაში პერსონალური მონაცემების ადეკვატურად დაცვის შესახებ ევროკავშირის #95/46/EC

დირექტივის 25-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად ან ევროკავშირსა და მესამე ქვეყანას შორის რეადმისიის შეთანხმება მოქმედებს ან ევროკავშირის #95/46/EC დირექტივის 26-ე მუხლის 1 პუნქტის (დ) ქვეპუნქტის ნორმების გამოყენებაა შესაძლებელი.

(ბ) მესამე ქვეყანა ან საერთაშორისო ორგანიზაცია თანახმაა, მონაცემები მხოლოდ და მხოლოდ იმ დანიშნულებით გამოიყენოს, რომლითაც მათი მიღება მოხდა;

(გ) მონაცემების გადაცემა/გაცნობა ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისი დებულებების შესაბამისად ხდება (კერძოდ, რეადმისიის შესახებ შეთანხმებების და იმ წევრი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც მონაცემების გადაცემას ახდენს, მათ შორის იმ სამართლებრივი დებულებების შესაბამისად, რომლებიც მონაცემების უსაფრთხოებას და დაცვას ეხება);

(დ) ის წევრი სახელმწიფო(ებ)ი, რომელმაც მონაცემების სავიზო საინფორმაციო სისტემაში შეყვანა მოახდინა, თანხმობას აცხადებს ამაზე.

3. პერსონალური მონაცემების მესამე ქვეყნებისთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ამგვარად გადაცემამ არ უნდა დაარღვიოს ლტოლვილთა და საერთაშორისო დაცვის მთხოვნელ პირთა უფლებები (განსაკუთრებით უკან გაძევებასთან დაკავშირებით დაკავშირებული უფლებები).

მუხლი 32

მონაცემების დაცვა

1. შესაბამისმა (პასუხისმგებელმა) წევრმა სახელმწიფომ მონაცემების ეროვნულ ინტერფეისში გადაყვანამდე და გადაყვანის დროს მათი დაცვა უნდა უზრუნველყოს. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ მის მიერ სავიზო საინფორმაციო სისტემიდან მიღებული მონაცემების დაცვა უნდა უზრუნველყოს.

2. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ საკუთარ ეროვნულ სისტემასთან მიმართებით აუცილებელი ზომები, მათ შორის, უსაფრთხოების გეგმა, უნდა მიიღოს, იმისათვის, რომ:

(ა) ფიზიკურად დაიცვას მონაცემები, მათ შორის, გაუთვალისწინებელი გარემოებებისთვის გათვლილი გეგმის მიღებით, რომელიც კრიტიკური ინფრასტრუქტურის დაცვაზე იქნება მიმართული;

(ბ) შეზღუდოს არაუფლებამოსილი პირების შესვლა იმ ეროვნულ დაწესებულებებში, რომლებშიც წევრი სახელმწიფო სავიზო საინფორმაციო სისტემის დანიშნულების შესაბამისად გარკვეულ საქმიანობას ახორციელებს (ამგვარი დაწესებულებების შესასვლელთან შემოწმების ჩატარება);

(გ) აღკვეთოს არაუფლებამოსილი პირების მიერ მონაცემების წაკითხვა, ასლების გადაღება, - ცვლილებების შეტანა ან ამოღება (მონაცემების კონტროლი);

(დ) აღკვეთილი იქნას სისტემაში მონაცემების არაუფლებამოსილი პირების მიერ შეყვანა ან მათ მიერ პერსონალური მონაცემების შემოწმება, ცვლილებების შეტანა ან წაშლა (შენახული მონაცემების კონტროლი);

(ე) მოახდინოს სავიზო საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების არაუფლებამოსილი პირების მიერ დამუშავების პრევენცია და აღკვეთოს სავიზო

საინფორმაციო სისტემაში დამუშავებული მონაცემების არაუფლებამოსილი პირების მიერ შეცვლა ან წაშლა (მონაცემების შეყვანის კონტროლი);

(ვ) უზრუნველყოს რა, სავიზო საინფორმაციო სისტემაზე წვდომის მქონე პირებისთვის მხოლოდ მათი ავტორიზაციით დაფარული მონაცემების ხელმისაწვდომობა, რაც ინდივიდუალური და უნიკალური მომხმარებლების იდენტიფიკაციისა და კონფიდენციალური წვდომის რეჟიმების გამოყენებით უნდა მოხდეს (მონაცემებზე წვდომის კონტროლი);

(ზ) უზრუნველყოს რა, ყველა ორგანოს მიერ, რომელსაც სავიზო საინფორმაციო სისტემაზე წვდომა გააჩნია, პროფილების შექმნა, სადაც აღწერილი იქნება იმ პირთა ფუნქციები და მოვალეობები, რომლებსაც მონაცემებზე წვდომა და მონაცემების შეყვანის, განახლების, წაშლის და მოძიების უფლება აქვთ; აღნიშნული პროფილები წინამდებარე რეგულაციის 41-ე მუხლში აღნიშნული ეროვნული სახელმძღვანელო ორგანოებისთვის მოთხოვნისთანავე უნდა იყოს ხელმისაწვდომი (პერსონალური პროფილები);

(თ) უზრუნველყოს რა, მონაცემების გადამცემი აღჭურვილობის მეშვეობით იმის დადგენის და გადამოწმების შესაძლებლობა, თუ რომელ ორგანოებს გადაეგზავნებათ პერსონალური მონაცემები (კომუნიკაციის კონტროლი);

(ი) უზრუნველყოს რა, შესაძლებლობა იმის დასადგენად და გადასამოწმებლად, თუ რა მონაცემების დამუშავება მოხდა სავიზო საინფორმაციო სისტემაში, როდის, ვის მიერ და რა მიზნით (მონაცემების ასახვის კონტროლი);

(კ) მოახდინოს სავიზო საინფორმაციო სისტემიდან ან სავიზო საინფორმაციო სისტემაში მონაცემების გადაცემისას ან მონაცემების ფიზიკური ტრანსპორტირების დროს, არაუფლებამოსილი პირების მიერ პერსონალური მონაცემების წაკითხვის, ასლების გადაღების, შეცვლის ან წაშლის პრევენცია შიფრირების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით (ტრანსპორტირების კონტროლი);

(ლ) უზრუნველყოს წინამდებარე პუნქტში ჩამოთვლილი უსაფრთხოების ზომების ეფექტურობის მონიტორინგი და შიდა მონიტორინგთან დაკავშირებული აუცილებელი საორგანიზაციო ზომების მიღება, რათა უზრუნველყოს წინამდებარე რეგულაციის აღსრულება (თვით-აუდიტი).

3. მმართველმა ორგანომ წინამდებარე მუხლის სავიზო საინფორმაციო სისტემის მოქმედების შესახებ მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი ამოცანების შესასრულებლად ყველა აუცილებელი ნაბიჯი უნდა გადადგას, მათ შორის, უნდა დაამტკიცოს უსაფრთხოების გეგმა.

მუხლი 33

პასუხისმგებლობა

1. ნებისმიერ პირს ან ევროკავშირის ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს, რომელსაც ზიანი მიადგა მონაცემების უკანონოდ დამუშავების ან წინამდებარე რეგულაციის დარღვევის შედეგად, უფლება აქვს, მიიღოს კომპენსაცია იმ წევრი სახელმწიფოსგან, რომელიც ამ ზიანის გამოწვევაზე აგებს პასუხს. აღნიშნული წევრი სახელმწიფო პასუხისმგებლობისგან სრულად ან ნაწილობრივ განთავისუფლდება, თუ ის

დაამტკიცებს, რომ იგი არ არის იმ მოვლენაზე პასუხისმგებელი, რომელმაც ზიანი გამოიწვია.

2. თუ ევროკავშირის რომელიმე წევრი სახელმწიფოს მიერ წინამდებარე რეგულაციის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო სავიზო საინფორმაციო სისტემისთვის ზიანის მიყენებას ექნა ადგილი, აღნიშნულ წევრ სახელმწიფოს ამ ზიანისთვის პასუხისმგებლობა დაეკისრება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მმართველმა ორგანომ ან სხვა წევრმა სახელმწიფომ ამ ზიანის თავიდან ასაცილებლად ან მისი შედეგების შესამცირებლად გონივრული ნაბიჯები არ გადადგა.
3. წინამდებარე მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებში ნახსენები ზიანის შემთხვევაში, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების განხილვა ამ წევრი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში უნდა მოხდეს.

მუხლი 34

მონაცემების შენახვა

1. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ და მმართველმა ორგანომ სავიზო საინფორმაციო სისტემის ფარგლებში მონაცემების დამუშავების ოპერაციების შესახებ არსებული ყველა ჩანაწერი უნდა შეინახოს. აღნიშნულმა ჩანაწერებმა უნდა აჩვენოს მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტსა და მე-15 და 22-ე მუხლებში აღნიშნული სისტემაზე დაშვების მიზანი, თარიღი და დრო, მე-9 და მე-14 მუხლების შესაბამისად გადაცემული მონაცემების სახეობა, მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-17 მუხლის, მე-18 მუხლის 1-3 პუნქტების, მე-19 მუხლის 1-ელი პუნქტის, მე-20 მუხლის 1-ელი პუნქტის, 21-ე მუხლის 1-ელი პუნქტისა და 22-ე მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად მიებისას გამოყენებული მონაცემების ტიპი და მონაცემების შემყვანი ან მიმღები ორგანოს დასახელება. გარდა ამისა, თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ მონაცემების შეყვანის ან მიღების უფლებამოსილების მქონე პერსონალის შესახებაც უნდა შეინახოს ჩანაწერები.
2. ამგვარი ჩანაწერები მხოლოდ მონაცემების დაცვის, მონაცემების დამუშავების დაშვებადობის მონიტორინგისა და მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის შეიძლება იქნას გამოყენებული. ეს ჩანაწერები არაუფლებამოსილი პირების მიერ სისტემაზე წვდომის გამომრიცხავი შესაბამისი ზომებით უნდა იქნას დაცული და ერთი წლის შემდეგ უნდა იქნას წაშლილი მას შემდეგ, რაც 23-ე მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნული შენახვის პერიოდი ამოიწურება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ჩანაწერები უკვე დაწყებული მონიტორინგის პროცედურებისთვის არის საჭირო.

მუხლი 35

თვით-მონიტორინგი

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სავიზო საინფორმაციო სისტემაზე წვდომის მქონე ყველა ორგანომ წინამდებარე რეგულაციის შესასრულებლად საჭირო ყველა ნაბიჯი გადადგას და საჭიროების შემთხვევაში ეროვნულ საზედამხედველო ორგანოსთან ითანამშრომლოს.

მუხლი 36

სასჯელი

წევრმა სახელმწიფოებმა ყველა საჭირო ზომა უნდა მიიღონ იმის უზრუნველსაყოფად, რომ სავიზო საინფორმაციო სისტემაში შეყვანილი მონაცემების ბოროტად გამოყენება ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ეფექტური, პროპორციული და პრევენციული ხასიათის ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებლივი სასჯელებით იყოს დასჯადი.

თავი 6

მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული უფლებები და ზედამხედველობა

მუხლი 37

ინფორმაციის მიღების უფლება

1. ევროკავშირის შესაბამისმა (პასუხისმგებელმა) წევრმა სახელმწიფომ განმცხადებლებსა და მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის (ვ) ქვეპუნქტში აღნიშნულ პირებს შემდეგი სახის ინფორმაცია უნდა მიაწოდოს:
 - (ა) 41-ე მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული მაკონტროლებლის ვინაობა, მისი საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით;
 - (ბ) სავიზო საინფორმაციო სისტემაში მონაცემების დამუშავების მიზნები;
 - (გ) მონაცემების მიმღებთა კატეგორიები, მათ შორის ის ორგანოები, რომლებიც მე-3 მუხლშია აღნიშნული;
 - (დ) მონაცემების შენახვის პერიოდი;
 - (ე) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მონაცემების შეგროვება სავალდებულოა განაცხადის განსახილველად;
 - (ვ) ინფორმაცია განმცხადებელთან დაკავშირებულ მონაცემებზე წვდომის უფლების, განმცხადებელთან დაკავშირებული არასწორი მონაცემების გასწორების მოთხოვნის უფლების და ასევე მასთან დაკავშირებული (უკანონოდ დამუშავებული) მონაცემების წაშლის მოთხოვნის უფლების შესახებ (აქ ასევე იგულისხმება ამ უფლებების გამოყენებისთვის საჭირო პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება და 41-ე მუხლის 1 პუნქტში აღნიშნული ეროვნული საზედამხედველო ორგანოების საკონტაქტო ინფორმაცია, რომლებმაც პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული საჩივრები უნდა განიხილონ).
2. მე-9 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტის შესაბამისად, განაცხადის ფორმიდან აღებული მონაცემების, ფოტოსა და თითის ანაბეჭდების მონაცემების შეგროვებისას, ამ მუხლის 1-ელ პარაგრაფში ნახსენები ინფორმაცია განმცხადებელს წერილობით ფორმაში უნდა მიეწოდოს.
3. მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის (ვ) ქვეპუნქტში ნახსენებ პირებს უნდა მიეწოდოთ ამ მუხლის 1-ელ პუნქტში ნახსენები ინფორმაცია მოწვევის, ფინანსური მხარდაჭერისა და ადგილზე ცხოვრების ხარჯების დაფარვის დამადასტურებელი, ამ პირების მიერ ხელმოსაწერი ფორმების შესახებ.

ამ პირების მიერ ხელმოწერილი ამგვარი ფორმების არარსებობის შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია ევროკავშირის #95/46/EC დირექტივის მე-11 მუხლის შესაბამისად უნდა იქნას მიწოდებული.

მუხლი 38

წვდომის, შესწორების და წაშლის უფლება

1. ევროკავშირის #95/46/EC დირექტივის მე-12 მუხლის (ა) ქვეპუნქტში მოცემული ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებული ვალდებულების დარღვევის გარეშე, ნებისმიერ პირს აქვს უფლება მიიღოს მასთან დაკავშირებული მონაცემები, რომლებიც სავიზო საინფორმაციო სისტემაში ინახება ან მოითხოვოს ეს მონაცემები ევროკავშირის იმ წევრი სახელმწიფოსგან, რომელმაც ეს მონაცემები სავიზო საინფორმაციო სისტემაში ასახა. ამგვარ მონაცემებზე წვდომის უზრუნველყოფა მხოლოდ წევრ სახელმწიფოს შეუძლია. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ ამგვარი თხოვნა უნდა აღრიცხოს.
2. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, მასთან დაკავშირებული არაზუსტი ინფორმაციის გასწორება ან მასთან დაკავშირებული უკანონოდ ჩაწერილი ინფორმაციის წაშლა მოითხოვოს. შესაბამისმა წევრმა სახელმწიფომ ეს ინფორმაცია მისი კანონმდებლობის, რეგულაციებისა და პროცედურების შესაბამისად, დაუყოვნებლივ უნდა შეასწოროს ან წაშალოს.
3. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღწერილი მოთხოვნა არაპასუხისმგებელ წევრ სახელმწიფოს წარედგინა, ამ ქვეყნის ორგანოები პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ორგანოებს 14 დღის ვადაში უნდა დაუკავშირდნენ. პასუხისმგებელმა წევრმა სახელმწიფომ მონაცემების სიზუსტე და სავიზო საინფორმაციო სისტემაში მათი დამუშავების კანონიერება ერთი თვის ვადაში უნდა შეამოწმოს.
4. თუ აღმოჩნდა, რომ სავიზო საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემები არაზუსტია ან მათი დამუშავება უკანონოდ მოხდა, პასუხისმგებელმა წევრმა სახელმწიფომ აღნიშნული მონაცემების ჩასწორება ან წაშლა 24-ე მუხლის 3-ე პუნქტის შესაბამისად უნდა მოახდინოს. ამის შემდეგ შესაბამისმა წევრმა სახელმწიფომ კონკრეტულ პირს დაუყოვნებლივ, წერილობით ფორმით უნდა დაუდასტუროს, მასთან დაკავშირებული მონაცემების ჩასასწორებლად ან წასაშლელად შესაბამისი ზომების განხორციელების თაობაზე.
5. იმ შემთხვევაში, თუ პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფო არ ეთანხმება, რომ სავიზო საინფორმაციო სისტემაში აღნუსხული მონაცემები არაზუსტია ან სისტემაში უკანონოდ შეყვანილია, მაშინ მან შესაბამის პირს დაუყოვნებლივ უნდა აუხსნას, თუ რატომ არ არის ის მზად აღნიშნული მონაცემების ჩასწორების ან წაშლისთვის.
6. პასუხისმგებელმა წევრმა სახელმწიფომ შესაბამის პირს ასევე უნდა მიაწოდოს ინფორმაცია იმ ნაბიჯების შესახებ, რომელთა გადადგმა მას შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ მიღებული ახსნა-განმარტება მისთვის მიუღებელია. აქ იგულისხმება ინფორმაცია აღნიშნული წევრი სახელმწიფოს სასამართლოში ან კომპეტენტურ ორგანოებში საჩივრის შეტანის პროცედურებისა და აღნიშნული ქვეყნის კანონმდებლობის, რეგულაციებისა და პროცედურების ფარგლებში ხელმისაწვდომი ნებისმიერი დახმარების შესახებ (მათ

შორის, 41-ე მუხლის 1-ელ პუნქტში ნახსენები ეროვნული საზედამხედველო ორგანოებისგან მიღებული დახმარება).

მუხლი 39

თანამშრომლობა მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული უფლებების უზრუნველყოფისთვის

1. წევრმა სახელმწიფოებმა აქტიურად უნდა ითანამშრომლონ 38-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებში მოცემული უფლებების განსახორციელებლად.
2. თითოეული წევრი სახელმწიფოს ეროვნულმა საზედამხედველო ორგანომ კონკრეტულ პირს მოთხოვნისთანავე უნდა გაუწიოს დახმარება და ევროკავშირის #95/46/EC დირექტივის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით მონაცემების ჩასწორების ან წაშლის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით რჩევები მისცეს.
3. პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ეროვნულმა საზედამხედველო ორგანომ, რომელმაც აღნიშნული მონაცემები იმ წევრი სახელმწიფოს ეროვნულ საზედამხედველო ორგანოში გადაგზავნა, სადაც მონაცემების ჩასწორებასთან და წაშლასთან დაკავშირებით მოთხოვნის წარდგენა განხორციელდა, ამ მიზნით უნდა ითანამშრომლოს აღნიშნულ ორგანოსთან.

მუხლი 40

საკითხის სამართლებრივი გადაწყვეტა

1. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებში ან სასამართლოებში შეიტანოს საჩივარი იმ შემთხვევაში, თუ ამ ქვეყანამ მას 38-ე მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებებზე, კერძოდ, მასთან დაკავშირებულ მონაცემებზე წვდომაზე ან ამ მონაცემების ჩასწორების ან წაშლის უფლებაზე უარი განუცხადა.
2. 39-ე მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ეროვნული საზედამხედველო ორგანოების დახმარება ამ პირისთვის სამართლებრივი პროცედურების მანძილზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

მუხლი 41

ზედამხედველობის განხორციელება ეროვნული საზედამხედველო ორგანოს მიერ

1. თითოეულ წევრ სახელმწიფოში არსებულმა ორგანომ ან ორგანოებმა, რომელმაც მინიჭებული აქვთ ევროკავშირის #95/46/EC დირექტივის 28-ე მუხლში აღნიშნული შესაბამისი უფლებამოსილებები, (ეროვნული საზედამხედველო ორგანო), კონკრეტული წევრი სახელმწიფოს მიერ ამ რეგულაციის მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტში ნახსენები პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებაზე დამოუკიდებელი მონიტორინგი (მათ შორის ამ მონაცემების სავიზო საინფორმაციო სისტემაში და სავიზო საინფორმაციო სისტემიდან გადატანის მონიტორინგი) უნდა აწარმოოს.
2. ეროვნულმა საზედამხედველო ორგანომ უნდა უზრუნველყოს ეროვნულ სისტემაში განხორციელებული მონაცემების დამუშავების ოპერაციების აუდიტის ჩატარება

შესაბამისი საერთაშორისო აუდიტის სტანდარტების მიხედვით, არანაკლებ ოთხ წელიწადში ერთხელ.

- წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ რა, მათ ეროვნულ საზედამხედველო ორგანოებისთვის, ამ რეგულაციით მათზე დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად, საკმარისი რესურსების არსებობა.
- რაც შეეხება სავიზო საინფორმაციო სისტემაში პერსონალური მონაცემების დამუშავებას, ევროკავშირის თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა გამოყოს ორგანო, რომელიც ევროკავშირის 95/46/EC დირექტივის მე-2 მუხლის (დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, მაკონტროლებლად ჩაითვლება და რომელსაც ამ წევრი სახელმწიფოს მიერ მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით მთავარი პასუხისმგებლობა დაეკისრება. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ ამ ორგანოს შესახებ ინფორმაცია ევროკომისიას უნდა მიაწოდოს.
- თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ თავის ეროვნულ საზედამხედველო ორგანოებს უნდა მიაწოდოს მათ მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის, 28-ე მუხლისა და 29 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის (გ) ქვეპუნქტში აღნიშნული სიები და 34-ე მუხლში აღნიშნული ჩანაწერები და მისცეს ყველა მის ყველა შენობაში ნებისმიერ დროს შესვლის უფლება.

მუხლი 42

ზედამხედველობის განხორციელება ევროპის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მიერ

- ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველმა უნდა შეამოწმოს რა, მმართველი ორგანოს მიერ პერსონალურ მონაცემების დამუშავება წინამდებარე რეგულაციების შესაბამისად. ამ შემთხვევაში ევროკავშირის საბჭოს #45/2001 რეგულაციის 46-ე და 47-ე მუხლებში აღნიშნული მოვალეობები და უფლებამოსილება იმოქმედებს.
- ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველმა უნდა უზრუნველყოს, მმართველი ორგანოს მიერ მონაცემების დამუშავების შემოწმება - საერთაშორისო აუდიტის სტანდარტების შესაბამისად, არანაკლებ ოთხ წელიწადში ერთხელ განხორციელდეს. ამ აუდიტის ანგარიში ევროპის პარლამენტს, ევროკავშირის საბჭოს, მმართველ ორგანოს, ევროკომისიასა და ეროვნულ საზედამხედველო ორგანოებს გადაეგზავნებათ. ანგარიშის დამტკიცებამდე მმართველ ორგანოს შენიშვნების გაკეთების საშუალება ექნება.
- მმართველმა ორგანომ ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველს უნდა მიაწოდოს მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, უზრუნველყოს 34-ე მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნულ ყველა მის დოკუმენტზე და ჩანაწერზე წვდომა და მას საკუთარ შენობებში ნებისმიერ დროს შესვლის საშუალება უნდა მისცეს.

მუხლი 43

ეროვნულ საზედამხედველო ორგანოებსა და ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველს შორის თანამშრომლობა

1. ეროვნულმა საზედამხედველო ორგანოებმა და ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველმა, რომლებიც თავიანთი შესაბამისი კომპეტენციების ფარგლებში მოქმედებენ, მათი მოვალეობების ფარგლებში, აქტიურად უნდა ითანამშრომლონ და სავიზო საინფორმაციო სისტემისა და ეროვნული სისტემების კოორდინირებული ზედამხედველობა უნდა უზრუნველყონ.
2. საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში, მათ შესაბამისი ინფორმაცია უნდა გაცვალონ, ერთმანეთს აუდიტებისა და ინსპექციების ჩატარებაში უნდა დაეხმარონ, წინამდებარე რეგულაციის განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული სირთულეები ერთად განიხილონ, დამოუკიდებელ ზედამხედველობასთან ან მონაცემების სუბიექტების უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემები შეისწავლონ, ნებისმიერი პრობლემის ერთობლივად გადაწყვეტისთვის შეთანხმებული წინადადებები მოამზადონ და, საჭიროების შემთხვევაში, მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას შეუწყონ ხელი.
3. ამ მიზნით, ეროვნული საზედამხედველო ორგანოები და ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველი წელიწადში არანაკლებ ორჯერ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს. ამ შეხვედრების ხარჯები ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის ოფისმა უნდა დაფაროს. პირველი შეხვედრის დროს პროცედურული წესები უნდა დამტკიცდეს. საჭიროების შემთხვევაში შემდგომი სამუშაო მეთოდები უნდა შემუშავდეს.
4. ორ წელიწადში ერთხელ ევროპის პარლამენტს, ევროკავშირის საბჭოს, ევროკომისიას და მმართველ ორგანოს უნდა წარედგინოს ანგარიშები ამ ორი დაწესებულების ერთობლივი საქმიანობის შესახებ. აღნიშნულ ანგარიშში თითოეულ წევრ სახელმწიფოს დაეთმობა ერთი თავი, რომელიც ეროვნული საზედამხედველო ორგანოსა და ამ წევრი სახელმწიფოს მიერ იქნება მომზადებული.

მუხლი 44

მონაცემების დაცვა გარდამავალი პერიოდის განმავლობაში

როდესაც წინამდებარე რეგულაციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის ფარგლებში გარდამავალ პერიოდში ევროკომისია საკუთარი მოვალეობების სხვა ორგანოსთვის ან ორგანოებისთვის დელეგირებას ახდენს, მან უნდა უზრუნველყოს, ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველს საკუთარი უფლებების, მათ შორის, ადგილზე შემოწმების ჩატარების უფლებისა და ევროკავშირის საბჭოს #45/2001 რეგულაციის 47-ე მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა უფლებამოსილების სრულად განხორციელების შესაძლებლობა.

თავი VII

საბოლოო დებულებები

მუხლი 45

ევროკომისიის მიერ საკუთარი მოვალეობების განხორციელება

1. ევროკომისიამ ცენტრალური სავიზო საინფორმაციო სისტემა, თითოეულ წევრ სახელმწიფოში ეროვნული ინტერფეისი და ცენტრალური სავიზო საინფორმაციო სისტემისა და ეროვნული ინტერფეისების დამაკავშირებელი საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, მათ შორის, მე-5 მუხლის 1 პუნქტის (გ) ქვეპუნქტის შესაბამისად ბიომეტრული მონაცემების ფუნქციების განხორციელება, წინამდებარე რეგულაციის ამოქმედებიდან შემდგომ დაგვარად სწრაფად უნდა ჩამოაყალიბოს.
2. ცენტრალური სავიზო საინფორმაციო სისტემის, ეროვნული ინტერფეისების და ცენტრალური სავიზო საინფორმაციო სისტემისა და ეროვნული ინტერფეისების დამაკავშირებელი საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური განხორციელებისთვის საჭირო ზომები 49-ე მუხლის მე-2 პუნქტში აღწერილი პროცედურის მიხედვით უნდა იქნას მიღებული, კერძოდ:
 - (ა) მონაცემების შესაყვანად და განაცხადების ერთმანეთთან დასაკავშირებლად, მე-8 მუხლის შესაბამისად;
 - (ბ) მონაცემებზე წვდომისთვის, მე-15, მე-17 და 22-ე მუხლების შესაბამისად;
 - (გ) მონაცემების შესწორებისთვის, წაშლისა და ვადაზე ადრე წაშლისთვის, 23-ე და 25-ე მუხლების შესაბამისად;
 - (დ) მონაცემების შენახვისა და მათზე წვდომისთვის, 34-ე მუხლის შესაბამისად;
 - (ე) საკონსულტაციო მექანიზმისა და პროცედურებისთვის, მე-16 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 46

შენგენის საკონსულტაციო ქსელის ტექნიკური ფუნქციების ინტეგრირება

მე-16 მუხლში აღნიშნულმა საკონსულტაციო მექანიზმმა შენგენის საკონსულტაციო ქსელი 49-ე მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული პროცედურის მიხედვით განსაზღვრული თარიღიდან უნდა ჩაანაცვლოს, როდესაც წინამდებარე რეგულაციის ამოქმედების დღისთვის შენგენის საკონსულტაციო ქსელის მომხმარებელი ყველა წევრი სახელმწიფო სავიზო საინფორმაციო სისტემის გამოყენებისთვის საჭირო იმ იურიდიულ და ტექნიკურ პირობებს წარმოადგენს, რომლებიც შენგენის კონვენციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ცენტრალურ სავიზო ორგანოებს შორის სავიზო განაცხადებთან დაკავშირებით კონსულტაციებისთვის არის საჭირო.

მუხლი 47

გადაცემის დაწყება

თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ ევროკომისიას უნდა აცნობოს მის მიერ ეროვნული ინტერფეისის მეშვეობით, მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნული მონაცემების ცენტრალურ

სავიზო საინფორმაციო სისტემაში გადასაცემად ყველა აუცილებელი ტექნიკური და სამართლებრივი ქმედებების განხორციელების შესახებ.

მუხლი 48

საქმიანობის დაწყება

1. ევროკომისიამ სავიზო საინფორმაციო სისტემის ამოქმედების თარიღი მას შემდეგ უნდა დაადგინოს, რაც:
 - (ა) 45-ე მუხლის მე-2 პუნქტში ნახსენები ზომები მიღებული იქნება;
 - (ბ) ევროკომისია გამოაცხადებს, რომ სავიზო საინფორმაციო სისტემის ფართომასშტაბიანი ტესტირება ევროკომისიისა და წევრი სახელმწიფოების მიერ წარმატებით დასრულდა;
 - (გ) ტექნიკური საორგანიზაციო ღონისძიებების დადასტურების შემდგომ, წევრი სახელმწიფოები ევროკომისიას აცნობებენ ყველა იმ განაცხადთან დაკავშირებით განხორციელებულ ქმედებების თაობაზე, რომლებიც მე-4 პუნქტით განსაზღვრული პირველი რეგიონიდან იქნა მიღებული, მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნული მონაცემების შესაგროვებლად სავიზო საინფორმაციო სისტემაში გადასაცემად ტექნიკური და სამართლებრივი, მათ შორის, სხვა წევრი სახელმწიფოს მაგივრად მონაცემების შეგროვებისა და/ან გადაცემისათვის არის აუცილებელი .
2. ევროკომისიამ ევროპის პარლამენტს წინამდებარე მუხლის 1-ელი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტში აღნიშნული ტესტირების შედეგების შესახებ უნდა აცნობოს.
3. ნებისმიერ სხვა რეგიონში ევროკომისიამ უნდა დაადგინოს ის თარიღი, რომლიდანაც მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნული მონაცემების სავიზო საინფორმაციო სისტემისთვის გადაცემა სავალდებულო გახდება, როდესაც წევრი სახელმწიფოები ევროკომისიას აცნობებენ, რომ იმ განაცხადებთან მიმართებით, რომლებიც ამ კონკრეტული რეგიონიდან იქნა შემოტანილი, მათ მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნული მონაცემების სავიზო საინფორმაციო სისტემაში გადასაცემად ყველა აუცილებელი ტექნიკური და სამართლებრივი ნაბიჯი, მათ შორის, სხვა წევრი სახელმწიფოს მაგივრად მონაცემების შეგროვებისა და/ან გადაცემისთვის საჭირო ნაბიჯები გადადგეს. ამ თარიღამდე თითოეულ წევრ სახელმწიფოს ნებისმიერ ამ რეგიონში საქმიანობის დაწყება შეუძლია მას შემდეგ, რაც ევროკომისიას აცნობებს სულ მცირე, მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის (ა) და (ბ) ქვეპუნქტებში აღნიშნული მონაცემების შეგროვებისა და გადაცემისთვის საჭირო ყველა ტექნიკური და სამართლებრივი ქმედებების განხორციელების შესახებ.
4. 1-ელ და მე-3 პუნქტებში ნახსენები რეგიონები 49-ე მუხლის მე-3 პუნქტში მოცემული პროცედურების მიხედვით იქნება დადგენილი. ამ რეგიონების დადგენის კრიტერიუმები შემდეგნაირია: არალეგალური იმიგრაციის რისკი, საშიშროება წევრი სახელმწიფოების შიდა უსაფრთხოებისთვის და ამ რეგიონის ყველა ნაწილიდან ბიომეტრიული მონაცემების შეგროვების მიზანშეწონილობა.
5. ევროკომისიამ თითოეულ რეგიონში საქმიანობის დაწყების თარიღები „ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში“ უნდა გამოაქვეყნოს.

6. არცერთ წევრ სახელმწიფოს არ აქვს უფლება, გაეცნოს სხვა წევრი სახელმწიფოს მიერ სავიზო საინფორმაციო სისტემაში გადაცემულ მონაცემებს მანამდე, ვიდრე ეს წევრი სახელმწიფო ან მისი წარმომადგენელი სხვა წევრი სახელმწიფო 1-ელი და მე-3 პუნქტის მიხედვით ამ მონაცემების სისტემაში შეყვანას არ დაიწყებს.

მუხლი 49

კომიტეტი

1. ევროკომისიას დახმარებას გაუწევს შენგენის საინფორმაციო სისტემის დაფუძნებას, მოქმედებისა და გამოყენებას შესახებ ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს მიერ 2006 წლის 20 დეკემბერს მიღებული #1987/2006 რეგულაციის 51-ე მუხლის 1-ელი პუნქტის ფარგლებში ჩამოყალიბებული კომიტეტი ([25](#)).
2. ამ პარაგრაფზე მითითებისას, ევროკავშირის საბჭოს 1999/468/EC გადაწყვეტილების მე-4 და მე-7 მუხლის ნორმები იმოქმედებს.
ევროკავშირის საბჭოს 1999/468/EC გადაწყვეტილების მე-4 მუხლის (3) ქვეპუნქტში აღნიშნული პერიოდი შეესაბამება ორ თვეს..
3. ამ პარაგრაფზე მითითებისას, ევროკავშირის საბჭოს 1999/468/EC გადაწყვეტილების მე-5 და მე-7 მუხლის ნორმები იმოქმედებს.
ევროკავშირის საბჭოს 1999/468/EC-ე გადაწყვეტილების მე-5 მუხლის (6) ქვეპუნქტში აღნიშნული პერიოდი შეესაბამება ორ თვეს.

მუხლი 50

მონიტორინგი და შეფასება

1. მმართველმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს სავიზო საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირების მონიტორინგისთვის საჭირო პროცედურების განხორციელება იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც მომსახურების შედეგებს, ეკონომიურობას, უსაფრთხოებასა და ხარისხს ეხება.
2. ტექნიკური მომსახურების მიზნით, მმართველ ორგანოს უნდა ჰქონდეს წვდომა აუცილებელ ინფორმაციაზე, რომელიც სავიზო საინფორმაციო სისტემაში მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით განხორციელებულ ოპერაციებს ეხება.
3. სავიზო საინფორმაციო სისტემის ამოქმედებიდან ორი წლის შემდეგ და მას შემდგომ ორ წელიწადში ერთხელ, მმართველმა ორგანომ ევროპის პარლამენტს, ევროკავშირის საბჭოსა და ევროკომისიას სავიზო საინფორმაციო სისტემის ტექნიკური ფუნქციონირების, მათ შორის, მისი უსაფრთხოების შესახებ, ანგარიში უნდა წარუდგინოს.
4. სავიზო საინფორმაციო სისტემის ამოქმედებიდან სამი წლის შემდეგ და მის შემდგომ ოთხ წელიწადში ერთხელ, ევროკომისიამ სავიზო საინფორმაციო სისტემის საერთო შეფასება უნდა განახორციელოს. საერთო შეფასება მოიცავს ამოცანების განხორციელების კუთხით მიღწეული შედეგების შემოწმებას, ამ სისტემის არსებობის ძირითადი მიზეზის საფუძვლიანობის შეფასებას, წინამდებარე რეგულაციის განხორციელებას (სავიზო საინფორმაციო სისტემასთან მიმართებით), სავიზო საინფორმაციო სისტემის

უსაფრთხოების შეფასებას, 31-ე მუხლში აღნიშნული ნორმების გამოყენებასა და მომავალ ოპერაციებთან დაკავშირებულ ასპექტებს. ევროკომისიამ ამ შეფასების შედეგები ევროპის პარლამენტსა და ევროკავშირის საბჭოს უნდა წარუდგინოს.

5. მე-18 მუხლის მე-2 პუნქტში ნახსენები პერიოდების ამოწურვამდე, ევროკომისიამ უნდა წარმოადგინოს ანგარიში საზღვრებზე თითის ანაბეჭდების გამოყენებასთან დაკავშირებით მიღწეული ტექნიკური პროგრესისა და ამ ცვლილებების შესაძლო შედეგების შესახებ ჩაკრული ვიზის ნომრითა და ვიზის მფლობელის თითის ანაბეჭდების დადასტურებით ინფორმაციის მოძიების ხანგრძლივობის კუთხით. აღნიშნული ანგარიში ასევე უნდა იძლეოდეს ინფორმაციას იმის შესახებ, გაზრდის თუ არა აღნიშნული ძიება სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე ლოდინის ხანგრძლივობას. ევროკომისიამ აღნიშნული ინფორმაცია ევროპის პარლამენტსა და ევროკავშირის საბჭოს უნდა წარუდგინოს. აღნიშნული შეფასების საფუძველზე, ევროპის პარლამენტმა ან ევროკავშირის საბჭომ შეიძლება ევროკომისიას წინამდებარე რეგულაციაში შესატანი შესაბამისი ცვლილებების პროექტის წარმოდგენა მოსთხოვოს.
6. წევრმა სახელმწიფოებმა წინამდებარე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებში აღნიშნული ანგარიშების შესადგენად მმართველი ორგანოსა და ევროკომისიისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება უნდა უზრუნველყონ.
7. მმართველმა ორგანომ ევროკომისიას ამ მუხლის მე-4 პუნქტში ნახსენები ზოგადი შეფასების გაკეთებისთვის აუცილებელი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს.
8. გარდამავალ პერიოდში, სანამ მმართველი ორგანო საკუთარი მოვალეობების შესრულებას შეუდგება, ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული ანგარიშების შედგენასა და წარდგენაზე ევროკომისია იქნება პასუხისმგებელი.

მუხლი 51

ძალაში შესვლა და გამოყენება

1. წინამდებარე რეგულაცია ამოქმედდეს „ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში“ გამოქვეყნებიდან მე-20 დღეს.
2. მისი გამოყენება 48-ე მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნული დღიდან მოხდება.
3. 26-ე, 27-ე, 32-ე, 45-ე მუხლები, 48-ე მუხლის 1-ელი, მე-2 და მე-4 პუნქტები და 49-ე მუხლი 2008 წლის 2 სექტემბრიდან ამოქმედდება.
4. 26-ე მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, წინამდებარე რეგულაციაში ნახსენებ მმართველ ორგანოში ევროკომისია იგულისხმება.
ევროგაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების შესაბამისად, წინამდებარე რეგულაცია წევრი სახელმწიფოებისთვის სავალდებულოა.

დანართი

31-ე მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციების სია

1. გაეროს ორგანიზაციები (მაგალითად, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი);

2. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;

3. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი.

([1](#)) ევროპის პარლამენტის 2007 წლის 7 ივნისის მოსაზრება (OJ C 125 E, 22.5.2008, გვ. 118) და 2008 წლის 23 ივნისის ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილება.

([2](#)) OJ L 213, 15.6.2004, გვ. 5.

([3](#)) OJ L 50, 25.2.2003, გვ. 1.

([4](#)) OJ L 123, 9.5.2002, გვ. 50.

([5](#)) OJ L 164, 14.7.1995, გვ. 1. რეგულაციის ბოლო რედაქცია, რომელიც ევროკავშირის საბჭოს #(EC)1791/2006 რეგულაციით შეცვლის შემდეგ ჩამოყალიბდა (OJ L 363, 20.12.2006, გვ. 1).

([6](#)) OJ C 326, 22.12.2005, გვ. 1. ინსტრუქციების ბოლო რედაქცია, რომელიც ევროკავშირის საბჭოს #2006/684/EC გადაწყვეტილებით შეცვლის შემდეგ ჩამოყალიბდა (OJ L 280, 12.10.2006, გვ. 29).

([7](#)) OJ L 239, 22.9.2000, გვ. 19. კონვენციის ბოლო რედაქცია, რომელიც ევროპის პარლამენტის და ევროკავშირის საბჭოს #(EC)1987/2006 რეგულაციით შეცვლის შემდეგ ჩამოყალიბდა (OJ L 381, 28.12.2006, გვ. 4).

([8](#)) OJ L 281, 23.11.1995, გვ. 31. დირექტივის ბოლო რედაქცია, რომელიც ევროკავშირის საბჭოს #(EC) No 1882/2003 რეგულაციით შეცვლის შემდეგ ჩამოყალიბდა (OJ L 284, 31.10.2003, გვ. 1).

([9](#)) OJ L 8, 12.1.2001, გვ. 1.

([10](#)) OJ L 184, 17.7.1999, p. 23. გადაწყვეტილების ბოლო რედაქცია, რომელიც ევროკავშირის საბჭოს #2006/512/EC რეგულაციით შეცვლის შემდეგ ჩამოყალიბდა (OJ L 200, 22.7.2006, გვ. 11).

([11](#)) OJ L 176, 10.7.1999, გვ. 36.

([12](#)) OJ L 176, 10.7.1999, გვ. 31.

([13](#)) OJ L 176, 10.7.1999, გვ. 53.

([14](#)) OJ L 131, 1.6.2000, გვ. 43.

([15](#)) OJ L 395, 31.12.2004, გვ. 70.

([16](#)) OJ L 64, 7.3.2002, გვ. 20.

([17](#)) 2004 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება#2004/860/EC ევროპის გაერთიანების სახელით ევროპის კავშირის, ევროპის გაერთიანებასა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის შეთანხმების გარკვეული დებულებების ხელმოწერასა და დროებითი გამოყენების შესახებ, რომლებიც შვეიცარიის კონფედერაციის მიერ შენგენის შეთანხმების განხორციელებასთან, გამოყენებასა და შემუშავებასთან კავშირს ეხება (OJ L 370, 17.12.2004, გვ. 78).

([18](#)) იხილეთ აღნიშნული „ოფიციალური ჟურნალის“ 129-ე გვერდი.

([19](#)) OJ L 243, 15.9.2009, გვ. 1.

([20](#)) OJ L 64, 7.3.2003, გვ. 1.

([21](#)) OJ L 81, 21.3.2001, გვ. 1. რეგულაციის ბოლო რედაქცია, რომელიც ევროკავშირის საბჭოს #(EC) 1932/2006- რეგულაციით შეცვლის შემდეგ ჩამოყალიბდა (OJ L 405, 30.12.2006, გვ. 23).

([22](#)) OJ L 53, 23.2.2002, გვ. 4.

([23](#)) OJ L 248, 16.9.2002, გვ. 1. რეგულაციის ბოლო რედაქცია, რომელიც ევროკავშირის საბჭოს #(EC) 1525/2007 რეგულაციით შეცვლის შემდეგ ჩამოყალიბდა (OJ L 343, 27.12.2007, გვ. 9).

([24](#)) OJ L 56, 4.3.1968, გვ. 1. რეგულაციის ბოლო რედაქცია, რომელიც ევროკავშირის საბჭოს #(EC, Euratom) 337/2007 რეგულაციით შეცვლის შემდეგ ჩამოყალიბდა (OJ L 90, 30.3.2007, გვ. 1).

([25](#)) OJ L 381, 28.12.2006, გვ. 4.